კლდე

დამოუკიდებელი ნაციონალური
პოლიტიკის ორგანო.

კვირა, ნოემბრის 24

1918 წელი.

№ 11.

ფასი 70 კაპ.
რკინის გზაზე 80 კაპ.

უოველ-კვირეული
გაზეთი „კ ლ დ ე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის
მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა
გამოდის **გრიგოლ ვეშაპელის** რედაქციით

გაზეთის ფასი 1918 წლის დამლევამდე 5 მანეთი, ცალკე ნომერი 70 კაპ.
განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 11 საათიდან 2 საათამდე.
კონტორაში (ქართულ ქარვასლაში, სასახლის ქუჩა № 5).

რედაქტორის ტელეფონი № 22.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

გ. ვეშაპელი. დამფუძნებელი კრება და ჩვენი პარტია.

შ. ქარუმიძე. დამოუკიდებელი საქართველოს ძალები.

დ. ვაჩნაძე. ბრძოლა მიწისათვის ქართლ-კახეთში (საადგილ-მამულო კომისია).

საკვირაო მიმოხილვა. სომხები სოფლად.

შ. ბუაჩიძე. სომხების თავდასხმა.

შ. ბუსურაშვილი. ახალციხის ფრონტი.

ქართული პრესა „ერთობა“ რუსეთის შესახებ.

ახალი თავადობა სოფლად.

მეურნეობის კრიზისი საქართველოში (მ. იშხნელის წერილიდან).

სოციალისტური რესპუბლიკა. თავი XI (ახალი ოჯახი).

ჩამოართმეული მიწების გაუქიდვის კანონპროექტი.

დამფუძნებელი კრება და ჩვენი პარტია

სოციალ დემოკრატიულ ყრილობას გარდუწყვეტია საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა არა უგვიანეს მომავალი წლის 1 მარტისა; ალბათ მთავრობასა და პარლამენტში ყოველ ღონეს იღონებენ მებატონე პარტიის გარდაწყვეტილება შესრულებული იქმნას, თუმცა საქართველოს ზოგიერთი განსაკუთრებით მთიანი კუთხის ბუნებრივი პირობები საყოველთაო არჩევნების მოხდენას გაზაფხულის ბოლომდის ხელს არ უწყობს...

ვერვინ იტყვის დღეს, დაგვაცლის თუ არა საერთაშორისო მდგომარეობა საქართველოს სახელმწიფოს აშენებას კონსტიტუციით. მსოფლიო ანარქიისა და ბოლშევიზმის საფრთხე, ერთის მხრივ, და რუსეთის ხელოვნურათ აღდგენისა და მისი რუსული რეაქციის საფრთხე, მეორეს მხრივ, მაჯლაჯუნასაებრ აწევს საქართველოს; მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, საქართველოს პოლიტიკურს და საკანონმდებლო ორგანიზაციას ვერავითარი ძალა ვეღარ მოშლის და ეს ავალებს საქართველოში ყველა პოლიტიკურ ძალებს დღესვე შეუდგენ საქართველოს დამფუძნებელი კრების ანუ პირველი ნამდვილი პარლამენტის არჩევნების სამზადისს.

დღეს მომქმედი დროებითი პარლამენტი (წინანდელი ეროვნული საბჭო) ასე თუ ისე რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგის მიხედვით არის შემდგარი; მაშინ საქართველოში მომქმედი პარტიები უმთავრესად ეროვნული საკითხის გარშემო ებრძოდნენ ერთი მეორეს: მაშინ სოციალ-დემოკრატი თავდაპირველად ის იყო, ვინც მთლიან, დემოკრატიულ რუსეთში საქართველოსათვის მოითხოვდა მარტო თვითმართველობას (ბერძნულად „ავტონომიის“ თქმასაც ვერ ახერხებდნენ); ფედერალისტი მაშინ ის იყო, ვინც დემოკრატიულ რუსეთის ფედერაციას მოითხოვდა და ამ ფედერაციას უკავშირებდა საქართველოს; და ნაციონალ-დემოკრატი მაშინ უმთავრესად ის იყო, ვინც საქართველოს სახელმწიფოს აღდგენას მოითხოვდა შის ისტორიულ საზღვრებში...

დღეს ქართველ პარტიების ბრძოლა ეროვნულ თავისუფლების საკითხისათვის უკვე ისტორიას ჩაბარდა. დღეს არც ერთი ქართული პარტია საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღარ ეწინააღმდეგება: რუსეთის

დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი
ნ ა ც ი ო ნ ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი
პ ა რ ტ ი ა.

კვირას, 24 ნოემბერს, შუადღის 11 საათზე
ქართული კლუბის დარბაზში
შესდგება
პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა

კ რ ე ბ ა

დღიური წესრიგი:

I) მოხსენებანი პოლიტიკური მომენტის შესახებ.
II) საორგანიზაციო საკითხები.

მომხსენებელნი არიან:

პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს წ ე ვ რ ნ ი:

ვეშაპელი გრიგოლ
ქარუმიძე შალვა
გაბაშვილი რევაზ
ვაჩნაძე დავით

დემოკრატია ქართველ მოლამასრადინების გამოგონილი გამოდგა და ამიტომ სოციალ-დემოკრატებმაც მიანებეს მას თავი... სოციალ-დემოკრატები დღეს ინტერნაციონალის კონფერენციაზე დელეგაციას გზავნიან და საქვეყნოთ აცხადებენ, დამოუკიდებელ საქართველოსათვის თავს დავდებთო; ფედერალისტებს კიდევ ყოველივე საფედერაციო საგანი დაეკარგათ, არა თუ რუსეთში, თვით კავკასიაშიც და დღეს მარტო ნაციონალ-დემოკრატები კი არა, მთელი საქართველოა სეპერატისტი.

ამიტომ, არც ავტონომიას, არც ფედერაციას არც სეპერაციას დღევანდელ საქართველოს საარჩევნო ბრძოლაში მნიშვნელობა აღარ აქვს. ახალი საარჩევნო ბრძოლა უნდა იყვეს და იქნება კიდეც არა ეროვნული, არამედ სოციალური იდეალების გარშემო; რაც უნდა გაურკვეველი იყოს კიდევ საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობა და რაც უნდა განუვითარებელი იყოს საქართველოს ეკონომიური საქმიანობა, სამი სოციალური ძალა მაინც ჩაებმება საარჩევნო ბრძოლაში მისთვის, რომ თავისი პოლიტიკა აწარმოოს დამფუძნებელ პარლამენტში; ეს სამი ძალაა:სოციალისტური პროლეტარიატი, რომელსაც მიჰყვება სოფლის ბოგანო და ქალაქის მეწვრილმანეები. კაპიტალისტები, რომელთაც უფრო ქალაქის ვაჭრობა-მრეწველობასთან აქვთ საქმე და მეურნეები, რომელთაც უფრო სოფელთან, მიწათ-მოქმედებასთან აქვთ საქმე; ქალაქისა და სოფლის მესაკუთრეთა, ვაჭარ-მრეწველთა და მეურნეთა პარტია წარსულ არჩევნებში ერთი იყო: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია... ეს პარტია ეხლა გაიყოს; ეროვნულ საკითხის გარდაწყვეტამ და საქართველოს დამოუკიდებლობამ დაუკარგა ფასი იდეალისტურ პოლიტიკას და გააღვივა სოციალური ინტერესები, როგორც ქალაქისა, ისე სოფლის მესაკუთრეთა შორის.; განსაკუთრებით აქტიური აღმოჩნდა სოციალურ ინტერესების პოლიტიკაში ქალაქის ვაჭარ-მრეწველთა, ყველაზე უფრო ბედნიერი დღეს დღეობით სპეკულიანტთა წრე, რომელმაც მოინდომა ვიწრო ბურჟუაზიულ პარტიათ გადაექცია ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ამის რეაქცია იყო პარტიის გაყოფა, დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის დაარსება და გაზეთ „კლდის“ განახლება; დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტია და გაზეთი „კლდე“ არ უარყოფს თავის ძველ პროგრამას—სახელმწიფოებრივ ზეკლასიურ, ეროვნულ პოლიტიკას, მაგრამ რამდენათ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ სოციალურ ინტერესთა წინააღმდეგობა იჩენს თავს, იმდენათ დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტია იმ სოციალურ წრესთან იქნება, რომელიც ყველაზე უფრო არის დაინტერესებული ეროვნული სახელმწიფოს არსებობით და რომელიც იმავე დროს საქართველოს უმრავლესობას შეადგენს: ეს არის მიწის მესაკუთრე-მეურნეთა კლასი, ის კლასი რომელიც მიწის მოქმედების აგრარული პოლიტიკით აერთიანებს მესაკუთრე გლეხს და მეურნე თავად-აზნაურს. სოფლის მესაკუთრეთა აგრარული პოლიტიკა საქართველოში მხოლოდ ახლა იწყება; მომავალ პარლამენტში აუცილებელი გახდება მეტი ყურადღება სოფლის ინტერესებისადმი კანონმდებლობაში, ვიდრე ეს ემჩნევა ეხლანდელ პარლამენტს თუნდაც ბაჟების დაწესების დროს...

დამფუძნებელ კრების არჩევნებში დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტია სწორედ ამ აგრარულ პოლიტიკის მიმდევარ წრეებს დაეყრდნობა უწინარეს ყოვლისა; ჩვენ ვიცით, რომ ეს წრე იყო უმთავრესად ხმას რომ აძლევდა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას წარსული არჩევნების დროსაც; თუ ზემო იმერეთში, შორაპნის მაზრაში, წარსულ არჩევნებში ერ.-დემ. პარტიამ მიიღო ნახევარი მთელი თავისი ხმებისა, განა ეს ხმები მიწის მესაკუთრე გლეხებისა და აზნაურების ხმები არ იყო? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნებში უფრო გარკვევით გავიგებთ მიწის მესაკუთრეთა ნების ყოფას.

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიასთან დამოუკიდებლობა საბოლოოდ გამოირკვა მის შემდეგ, რაც მან უარყო ჩვენი წინადადება საერთო კონფერენციის შესახებ და ამით აუცილებელი გახადა ჩვენი საკუთარი ორგანიზაციების მოწყობა, საკუთარი კონფერენციის მოწვევა და საკუთარი სიით გამოსვლა დამფუძნებელ კრების. არჩევნებში; არსებითად არასოციალისტური საქართველო არაფერს წაიგებს იმით, რომ არჩევნებში ეხლა მეტი სია იქნება, ვიდრე წინად იყო; ამით უფრო მეტი ეროვნული ძალები ჩაებმება ბრძოლაში, როგორც მარცხნივ ისე მარჯვნით.

გრიგოლ ვეშაპელი.

დამოუკიდებელ საქართველოს ძალები.

დღეს ჩვენთვის მეუფე საკითხი, საკითხი საბედისწერო მნიშვნელობისა—საქართველოს დამოუკიდებლობის შერჩენის საკითხი გახლავთ. დავრჩებით დამოუკიდებელნი, „თავადი თავის თავისა“, შეუნახავთ საქართველოს სუვერენობის გვირგვინს—შევინახავთ ქართველებს სავიეს რწმენით კეთილი შომავალისათვის და სრული გარანტიით თავისუფალი და კულტურული განვითარებისათვის, თუ ვერ შევძლებთ ამას და ჯვარი დაესმის ჩვენ ცხოვრებას? კვლავ ტანჯვა მონა ერისა, ხუნდებ გაყრილი ხელები, აზრი შებოჭილი, რწმენა ჩამკვდარი, სამშობლო დატყვევებული და ღვთაება დაბნეული...

ეს იქნება საშინელი ფიზიკური და ფსიხოლოგიური რეაქცია, რომელმაც ვინ იცის მთლად შეილიოს ენერგია და სასიცოცხლო ძალა პატარა ერისა.

ღმერთმა ნუ ჰქნას ეს!

ყველაფერი, ჩვენი აზრიც და ფიქრიც, მაჯაც და საქმეც ამ მეუფე საქმისადმი—საქართველოს სუვერენობის შენახვისადმი—უნდა იყოს მიმართული, მითი უნდა ფასდებოდეს ყველაფერი, როგორც მსოფლიო ისტორიის ამბები ისე შინაური საქმიანობა. გერმანიის უკანასკნელი ამბები, აღლუმი სოციალური რევოლუციისა, იქ და სხვაგან იქნებ ბევრს იმედებს უბადებდეს ზოგიერთ ჩვენს, ფართო ასპარეზის და „დიდი ადამიანობის“ მოყვარე წრეებში, მაგრამ მან ოდნავათაც არ უნდა შეარყიოს ამ დამოუკიდებლობის შენახვის გარშემო დამყარებული ერთსულოვნობა სოციალურად მოწინააღმდეგე ქართულ წრეებში.

თუ მთელ ევროპას მოედო „ბოლშევიზმი“ გინდ იმ სახით, რომელზედაც „ერთობა“ და „ბორბა“ ლაპარაკობს, იდეა უნივერსალური ცენტრალიზმისა, ინტერნაციონალის სახელით ცნობილი, წარხოცავს ყოველივე „თვითგამორკვევას“ და როგორც გაანადგურა ამგვარმა „ეკონომიკამ“ ბურჟუაზიული ენერგიით, მუყაითობით და უნარით შექმნილი დოვლათი და კულტურის ორგანიზაცია ისე გაანადგურებს ახალი „პოლიტიკა“ ბურჟუაზიულ ეპოქაში შექმნილ, ცნობილ და ჩასახულ ეროვნულ სახელმწიფოებს. შეიძლება ზოგიერთ წრეებს ჩვენში კლასობრივის თვალსაზრისით ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდეს სათქმელი, ვინაიდან მათი მსოფლმხედველობით ასეთი ინტერნაციონალი უფრო უმაღლესი და მისაღები პოლიტიკური ფორმა იქნება, ვიდრე „იძულებით მიღებული“ დამოუკიდებლობა. მაგრამ მომსპობი იქნება ეს მთელი ქართველის ერისთვის და ამ წრეებისათვისაც იმდენათ, რამდენადაც იგინი ქართველობაზე უარს ვერ იტყვიან. კაზუისტური არგუმენტაცია იქნებ რუსების ჯარისკაცთა საბჭოებში იყო გამოსადეგარი, მაგრამ ევროპის წინაშე—იგი გახუნდა და იმ ჩალად არ ეღირება. საქართველოს დამოუკიდებლობა არის შედეგი ჩვენი საზოგადოებრივ ძალთა განვითარების აუცილებლობის, დამყარებული მეტად დიდ ღირებულ ისტორიულ საბუთებზე, არ ვიცით ვისთან გამოგვადგება სხვანაირი, ტრუდოვოე ზნამიასთან კამათში მოლესილი, საბუთები? ეს კი ცხადია ვინც გვიცნო არა ამ მოსაზრებით და არა ამ საბუთების წყალობით. და ეს თითონაც კარგათ უწყიან. ნოე ჟორდანიას თავის კლასიფიკაციაში მხოლოდ ქალაქის შეგნებული მუშა გამოჰყავს იმ ელემენტათ, რომელსაც უნდა დაეყრდნოს დემოკრატიული მთავრობა. „სოვდეპიებში“ და „საბჭოებში“ ამას თავისი ფასი ექნება, მაგრამ რა ფასი ექნება ამას საქართველოს დამოუკიდებლობაში, ისტორიულ საზღვრების დაცვაში—ამაში ძალიან ვეჭვობთ, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა ეს რევოლუციის შედეგი არ გახლავთ- იგი უფრო ადრე დაიბადა ქართველ ხალხის ისეთ წრეებში, რომელსაც უმთავრესათ უნდა დაყრდნობოდა მთელი ერი. ამის მიჩქმალვა—ისტორიის დამახინჯებაც იქნება და არც ხელსაყრელია არავისთვის. ის სოციალურ-ეკონომიური პროცესი, რომელიც ხდებოდა ჩვენ ცხოვრებაში ომის დაწყებამდე ყველამ იცის. წოდებანი დაირღვევ უფრო ადრე, ვიდრე ეს გამოცხადდა ეროვნულ ყრილობაზე ბ-ნ ნოე ჟორდანიას აზრით; დიდი მამულების დაყოფვის და მასთან ღალის სისტემაზე აგებულ მეურნეობის შეცვლის პროცესი დაიწყო და დაიწყო მთელი სიძლიერით და გონიერებით რევოლუციონურ პროცესისა უფრო ადრე ვიდრე ბ-ნი ხომერიკი თავის დეკრეტს გამოაცხადებდა,

ახალი საქმიანობის ხალხი გაჩნდა ჩვენ სოფელში. თავად-აზნაურის ნაწილი მიაწვა ინტენსიურ მეურნეობას, გლეხ-კაცობამაც ამოზიდა საკმაო რიცხვი შეძლებული ახალი უნარის მქონე ხალხისა და შეიქმნა საერთო ტიპი განათლებული და მომაგრებული მეურნისა. აქ წოდება აღარ გახლდათ, აქ იყო ეკონომიური კატეგორია—კლასი „ახალი საქართველო“ რომელიც ცხადია თავის საქმიანობის შესაფერ პირობებისათვის მალე დაიწყებდა ბრძოლას. დაიწყო ბრძოლა არსებითათ ეროვნულ, ეკონომიურ პოზიციებისათვის. უპირველესათ გამოიდევნა უცხო მევახშე, ჩვენს სოფელს რომ ახრჩობდა. ამ „ახალმა საქართველომ“ დაიწყო ბრძოლა თავის ნაწარმოების და მეურნეობისათვის საჭირო საქონლის და იარაღის უშუამავლოთ, უსვისოთ გატანისა და შემოტანისათვის. დაიწყო კრედიტისა, იარაღისა და მიწის ძებნა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ერთერთ დამხმარებელი, შემნახველ-გამსესხებელი, სამეურხეო ბანკები, მწარმოებელთა და მომხმარებელთა საზოგადოებანი და კავშირებში; მოკავშირე ამ საქმეში ჩვენმა სოფლის მეურნემ ქალაქელ ქართველ ბურჟუაზიაში ჰპოვა, რომელიც აგრეთვე სხვისგან იჩაგრებოდა და რომელსაც ცალი ფეხი ისევ სოფელში ჰქონდა, რადგან სხვა სახით ბრძოლა ქალაქში გაბატონებულ უცხო ხალხთან არ შეეძლო. აიღეთ რომელიც გნებავთ ჩვენი ძველი მოვაჭრე—თუ ასეთი არ გახლდათ, გორელ ხარატაშვილ-უხურგუნაშვილებით დაწყებული და ქალაქელი ძველი დოვლათისა და გვარის მქონე ვაჭარ მრეწველობით გაჟავეული. ეს უძლეველ ხაზი გახლავთ ჩვენი ეკონომიური რევოლუციისა. ამ წრეებმა უნდა ზიდონ მთელი უღელი ჩვენი ეკონომიური აღორძინებისა.

რა ხასიათის და ვისი ხელითაც არ უნდა შეიკრას ყოველგვარი ეკონომიური ხელშეკრულებანი, უხვი ხელით და მოურიდებელის სვინდისით, რომ იწერება დღეს საქართველოში, მთელი სიმძიმე სწორედ ამ წრეებს დაეწვებათ. აი ეს წრეები იყვენ რომელთა ეკონომიური და ეროვნული ინტერესი, რომელთ შემოქმედება საქართველოს გამთელებას, აღდგენას და განთავისუფლებას მოითხოვდა. გადაათვალიერეთ მეორეს მხრივ ანგარიშები ჩვენში არსებულ საგლეხო და სხვა საადგილ-მამულო ბანკებისა, ანგარიშები ჩვენი საადგილ მამულო კომისიისა და თქვენ დარწმუნდებით სწორედ ამ წრეებმა დაიწყეს დენა ძველი ბორჩალოსა და ახალციხე ახალქალაქისაკენ. მთელი ყარსის და ოლთისის მთები ჩვენ მეცხვარეთა სარგებლობაში იყო და 1913 წ. სამმა ქიზიყელმა მეცხვარემ 20 ათასი დესეტინა საძოვარი ბინა შეიძინა საკუთრებათ ამ მთებში. მე და განსვენებულ ალ. ყიფშიძის კითხვაზე—რა უნდათ ამ სიშორეზე, რატომ თრიალეთზე არ ყიდულობენ—გვიპასუხეს თრიალეთი სად წავა, ქვეყნის გამთელება იქიდან უდა დავიწყოთო.

სამი მეოთხედი ბორჩალოს ყველის ქარხნებისა ხომისძირელმა და მაღაროს კარელმა ფშავებმა ჩაიგდეს ხელში. თუშებმა შირაქისა, ელდარისა და ჯეირან ჭალისათვის (ყაზახის მაზრა) კინაღამ სისხლი შეანთხიეს ლიანოზოვს და რუსისმთავრობას. ახალქალაქის მაზრაში ტიბაანელ-მაჩხანელებმა ირაკლის ძველი გუჯარი გაინაღდეს.

იმავე დროს რაჭის ემიგრაციამ იბრუნა პირი დაღმა ბორჩალოსაკენ და გეზი აღებული ალაგირ-ნალჩიკისაკენ შესცვალა ძველი გეზით კავკასიონით რომ გახლავთ ჩამოღარული მტკვრისაკენ და მტკვრით შოთა რუსთაველის საფლავისაკენ—ძველ მესხეთ-ჯავახეთისაკენ ჰქნა პირი. მოახალშენე იმერლობა რკინა მკერდით გავიდა ალაზანს ძველ საინგილოს მოსაპოებლად, მთებში და სალ კლდეებში მიჯაჭვული ხევსურობა ნელ ნელა მიგრამ შეუჩერებლივ იხიზნებოდა გორების გადაღმა კალთებში და უსწორო ბრძოლას ეწეოდა „შემოტეხილ კარის“ მისახურად და თბილისზე გაბატონებულ გომბორის კალთებზე უცხო მოსახლეობის გასათქვევათ. და მართლაც ჩვენ დედა-ქალაქზე უცხოთა იერიში მოტანილი იყო არა მარტო ბორჩალო მანგლისით, არამედ ტფილისი მოჭრილი გახლდათ კახეთსაც გომბორის კალთით, საცა სტრატეგიულად შეზა-

ტონე პოზიციები მუხროვან-გომბორის მიდამოებით ხელოვნურად ჩასახლებულია უცხო ელემენტით. ამავე დროს დასავლეთ საქართველოში ნამდვილი ევროპიული ჩასახლება ხდებოდა მეგრელების მიერ შავი ზღვის ძველი ქართული ნაპირებისა.

ეი ასეთი საქმიანობა ძლიერი ფაქტი გახლდათ ჩვენი ცხოვრებისა და ეს ფაქტი დღესაც მთავარი ძარღვი გახლავთ. ხდებოდა ერთის მხრივ „გამთელება“ საქართველოსი, ძველი პოზიციების დაბრუნება, შიგ ჩვენ სოფელში იმოსებოდა ახალი საქმე და ჩნდებოდა ახალი ხალხი. ცხადია ეს ხალხი თავის შემოქმედებისათვის შესაფერ მოთხოვნილებასაც წარმოადგენდა ადრე თუ მალე. განთავისუფლებული სოფელი — განთავისუფლებულ საქართველომდი მიიყვანდა. და სოფლის შემდეგ იგი პროვინციალურ ქალაქებს მიადგა. ყველგან, ერთი და იგივე მოხდა გორში ამ ათიოდე წლის წინათ ნამდვილი „მეფენი ამა დროისა“ გახლდნენ სომხური სამება: ბუღდანა, ფუჩეჩა (გვარი და სახელი დღესაც არავინ იცის) და სულხან და ალექსანდრე ღამბაროვები, და სწორედ სოფელმა და სოფლის ახალმა ხალხმა ბუნებრივი კავშირით ქართველ ქალაქელებთან შეუკრა მათ ჯერ სოფელი და შემდეგ ქალაქშიც დასცა. სხვა წრეებს ამაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ძკირფასი ტრადიცია და გადმოცემანი უკვდავ, გამაცოცხლებელ სულსა ჰბერავდნენ მათ ასეთ საქმიანობას. და ჰქმნიდნენ იდეოლოგიას სწორედ დამოუკიდებელი საქართველოსი. ეს ხალხი და მათი ინტერესები ვერ მოითმენდენ და ვერ მოითმენენ საქართველოს ვისმე პროვინციად ყოფნას, მათ უნდათ დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველო თავის საბაჟო სისტემით, და ჯარი მისი დამცველი და მთავრობა მისი მომვლელი. ვერ შეურიგდება ეს ხალხი ვერც „შეგლეჯილ“ და შეჭრილ საქართველოს. მხოლოდ მათში საქართველოს მთლიანობის იდეა თვითმეფობა და თვითმყოფობა არასოდეს არც ჩამკვდარა, არც მიფერფლილა. არდაგნის მთებზე ძველ მკვიდრებს და ძველ ნიშნებს ყოველწლივ ნახულობს შუაფხოველი ფშავი, ყოველ წლივ ასე უკვდავ ჰყოფდა წარსულსა და ისტორიას.

ქიზიყელი გლეხი ღვთიშობლობის ღამეს ძველ ჯავახეთის ზარზმაში ათევდა.

სხვა კლასები, პროლეტარ და სპეკულიანტები (ესეც კლასია დღეს) შორს იყვნენ ასეთ საქმიანობასა და განცდისაგან. ამ ხალხის იდეოლოგია აშკარაა. მათ ვერ დაეკმაყოფილებდა ვერც პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, არსებითათ უსამშობლო ებრაელების და ფინანსისტების „ნაციონალიზმი“ და ვერც „რეალი მოსახლების პრინციპი“ მამულ დაკარგულ რაინდებისა, იდეოლოგია როგორც ერთისა ისე მეორესი ხელებში ხუნდებს უყრიდა. დიდ დაპირებებში — მამულის შეძენაზე გულს უცრუებდა და ჯიგარს უყრიდა, ეროვნულ ბრძოლის ტემპს უმოწყალოთ ასუსტებდა და უადგილო და საზარალო შეღლილ შეჰქონდა ეროვნულ საზოგადოებრივ ძალებში. დღეს ეს მაჯლაჯუნა იდეალოგები დამარცხდენ უმოწყალოთ. ბრმაც ხედავს ამას, გაიძარჯვა ამ ახალი საქართველო დეოლოგიამ და გაიმარჯვა ისე, რომ შეგნებულ მუშათა, ქალაქის პროლეტართა პარტიის მთავრობა დღეს მათი მოურავია, მოურავი, რომელმაც უნდა დაიცვას მათი სასახლე მთლიანათ, ისტორიული საზღვრებით, სიტყვის შეუბრუნებლივ.

თუ დღეს მთელი საქართველო დაადგა ამ „ახალი საქართველოს“ გზას, უნდა იცნოს კიდეც ეს ახალი საქართველო. გვევლინა და ცხოვრებითი ფასი მათი დიდი გამოდგა, როგორც ხედავთ, და მათი რიცხვიც არც ისეთი მცირე გახლავთ, რომ ისინი „კლასიფიკაციების“ დროს „სჩოტში“ არ ჩაადგონ მომავალშიაც მათი საქმიანობა. მათი შრომა შეავსებს ჩვენ დამოუკიდებლობის ეკონომიური ძლიერებით და კულტურული შემოქმედებით.

მათი ხელით და უნარით უნდა დაისეროს ჩვენი ქვეყანა გზებით, ცოდნის და კულტურის ხავერდი უნდა მოეფინოს მის ზედა პირს და უნდა გადმოიკუჭოს მისი გული. სოფლად უნდა აღიმართონ ახალი დროის კოშკები — ელევატორები და ელექტრონის შუქმა და ორთქლის ძალამ უნდა დახეთქოს და დაპკუროს მათ. და ქვეყანაც, დიდი უმოაელესობა ერისა მათ წამოაყენებ და საბოლოოთ მათი სიტყვით მოეწყობა ჩვენი ცხოვრება; ერის დამოუკიდებლობის დაცვა მათი საქმეა — კინაიდან მათი ინტერესია უპირველესად ყოვლისა. და ვისაცა სწამს რომ დამოუკიდებლობის შერჩენა და განმტკიცება ჩვენთვის უმთავრესი შეუფე საქმეა ის ვერ იტყვის და ვერც უნდა სთქვას, რომ სოფელი და გლეხკაცობა საფრთხეა ჩვენთვის. ეს კი ცხადია ეს ცხოველ-მყოფელი საზოგადოებრივი ძალა, რამდენათაც აქტიურად ჩაერევა პოლიტიკაში იმდენათ თავისებურობას შეიტანს. შეიძლება ჩვენ მომავალ პარლამენტშიაც ახალი ხალხი იყოს, ახალი ფიგურები გამოჩნდენ, შეიძლება მოხდეს მეტი დემოკრატიზაცია და თავისი საქმის დასაცველად ისეთ კუთხეებიდანაც მოვიდენ ხალხი, რომელთ შესახებ დღეს ნაკლები წარმოდგენა აქვთ. ამაში მხოლოდ მეტ სიძლიერეს ჰპოვებს ჩვენი საქმე.

ეს „ახალი საქართველო“ ერთნაირ საქმიანობასაც გვაჩვენებს. ძნელი საფიქრელია, რომ პოლიტიკური გეგემონია მან მილიციონერობისა და კომისრობის პოსტზე დაახურდავოს. ძლიერის ეკონომიური მუშაობა გაჩაღდება და მუშაობა რასაკვირველია არ იმ აკორიანტებულ სპეკულაციას ემგზავსება, ჩვენ ხალხს რომ ახრჩობს დღეს. დღევანდელი აკიოტაჟი — მოსულ ბატონთა (უცხონი არ გეგონოთ, ქართველი არიან!) საქმეა, რომელნიც შემოეფარენ საქართველოს, ზოგმა ბოლშევიზმს გამოარიდა სული და ხორცი, ზოგმა თათარს, დღეს კარგათ მოეწყო „პროლეტარულ“ ეკონომიკის კურსთან, „ღებს კონცესიას კონცესიებზე, მონოპოლიას მონოპოლიაზე და უღმერთოთ აზარალებს ჩვენი ხალხის ჯიბეს, ჭრაყნის მის ფსიხიკას, დასაწყისშივე უწამლავს ვაჭრულ გუნებას. ეს ხალხი „ახალ საქართველოსთან“ არა ყოფილა არასდროს და სწორედ გითხრათ დამოუკიდებელი საქართველო ძალიან ვიწრო ასპარეზია მათი ფართო ინტერნაციონალური უნარისათვის. მალე წავლენ და გზაც დაგვიღოცნია. დღეს „განებივრებული“ ბურჟუაზია — ეს ჩვენი ნაცნობი ხალხი არ არის. ისინი ჩვენთან და ახალ საქართველოსთან არასოდეს არა ყოფილან. ეს ჩვენმა განაყარმა ძველმა მეგობრებმაც კარგათ უწყიან. „ახალი საქართველო“ კიარ შემცდარა, მან სწორედ აიღო აღლო და თავიდანვე იმ ორიენტაციას დაადგა, რომელიც დამოუკიდებლობამდის მიგვიყვანდა. და მხოლოდ ამ ძალასვე შეუძლია დღეს საქართველოს სახელმწიფოებრივი უღელის ზიდვა და ამ სახელმწიფოებრივობის დამოუკიდებლობის დაცვა შინ და გარედ.

შალვა ქარუმიძე.

ბრძოლა მიწისათვის ქართლ-კახეთში.

(საადგილ-მამულო კომისიის მოქმედება)

ბრძოლა მიწისათვის აღმოსავლეთ საქართველოში პოლიტიკურ საკითხად გადაიქცა.

ყველასათვის ცხადი იყო თუ ქართლ-კახეთში მიწების უცხოელთა ხელში გადასვლა რას უქადიდა საქართველოს მომავალს. პოლიტიკურად მოაზროვნე წრე ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა პირველი ჩაება ამ დიდ ბრძოლაში. იგი დარწმუნდა, რომ პრიმიტიულ მეურნეობის საშუალებით დიდ მამულების გადარჩენა ტყუილი იმედია. კაპიტალისტურ და ინტენსიურ მსხვილ მეურნეობის წარმოებამ კი, რომელსაც ოდნავ მაინც შეეძლო უცხოელთა ტალღის შეჩერება და ქართველთა საკუთრების დაფარვა, ძალიან დაიგვიანა.

მტრულ პოლიტიკურ ფაქტორებმა დაასწრეს ჩვენს კაპიტალისტურ მეურნეობას და დასაწყისშივე დაახრჩეს. რუს იმპერიალისტების სომხის დაშნაკცუტიუნის პარტიის და კავკასიის ოსთა პატრიოტების საკოლონიზაციო გეგმების რეალიზაცია აღმოსავლეთ საქართველოს ხარჯზე გაჩარხული იყო. და თუ სადმე მოეწყობოდა ქართველის მსხვილი სამეწველო მეურნეობა იგი ან სესხის და ბაზრის უქონლობის გამო, რომელიც მტრების ხელში იყო, დეფიციტში იღრჩობოდა და იშლებოდა ან და გარშემორტყმული მტრულად განწყობილ უცხოელთა მოსახლეობით მალე იღუპებოდა. ამ გვარად გამოირკვა, რომ ზველა ქართველ ხალხის ფართე მასაში იყო და უმთავრესად ყველაზე მეტად დაინტერესებულს ამ ბრძოლით მის უმიწაწყლო და მცირე მამულიან ნაწილში.

ეს უკანასკნელი აზრი მტკიცე საფუძვლად დაედო იმ ბრძოლის საწარმოოო გეგმას, რომლის ხელმძღვანელობა და ცხოვრებაში გატარება ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ ამ ათი წლის წინად დაიკისრა საგანგებოდ მოწყობილ „საადგილ-მამულო კომისიას“ იმ დროს საქართველოში, როგორც რუსეთის განაპირა პროვინციაში სასტიკად აკრძალული იყო რაიმე მნიშვნელოვან ორგანიზაციების მოწყობა, მით უმეტეს ისეთისა, რომლის სარჩულად პოლიტიკური განზრახვები იმალებოდა. და ამიტომ კერძო ორგანიზაციის მიერ შინაგან კოლონიზაციურ მიზნების განხორციელება საქართველოში უიმედო საქმეთ ითვლებოდა. და რამდენად პოლონეთის პოზნანის მოწინავე პოლიტიკური ჯგუფები, გერმანიის სახელმწიფოს კონსტიტუციის მფარველობის ქვეშ, ხელგაშლილათ და თავისუფლად ორგანიზაციებში მოწყობილი სასტიკად ებრძოდა პრუსიის იმპერიალიზმის აგრესიულ საკოლონიზაციო გეგმას და სრულიად ლეგალურად იცავდა თავის მიწა წყალს, იმდენად ქართველი პოლიტიკური ინტელიგენცია ხელ-ფეხ შეკრული რუს ჟანდარმებით და შეპოჭილი, ორგანიზაციულად ვერაფერს ახერხებდა და მხოლოდ თავის გაზეთების ფურცლებზე გოდებით სავსე წერილებს ათავსებდა. რასაკვირველია ეს არ კმაროდა. საჭირო იყო დაუყოვნებლივი ორგანიზაციული, მეტოდიური მუშაობა და აქტიური ბრძოლა. სწორედ ამ კრიზისის დროს საშველად გამოვიდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის ორგანიზაცია.

1902 წელს ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას იმპერატორ ნიკოლოზის ბრძანებით მიენიჭა თვალსაჩინო უფლება თფილისის საადგილ-მამულო ბანკის მოგებიდან 35 პროცენტისა თფილისის გუბერნიის მიწის მესაკუთრეთა და მიწის მუშათა საჭიროებისათვის სარგებლობისა და გამგებლობისა. ამ რიგად მას მიეცა საშუალება, მთავრობის კონტროლის და ჩარევის გარეშე, მოეწყო ისეთ ორგანიზაცია, რომელიც ქართლ-კახეთის მესაკუთრეთა. მეურნეთა და მიწის მუშათა გაჭირვებას დაეხმარებოდა. ამ საშუალებით მან სავსებით ისარგებლა დაწყებულ მიწის მობილიზაციის ხანაში. 1907 წელს დაარსდა „საადგილ მამულო კომისია“. მის მუშაობას დირექტივად დაედო მოხსენება მ. მაჩაბლისა „შესახებ იმ საჭირო ზომებისა, რომელნიც მიღებული უნდა იქმნენ, რათა მიწა შერჩეს ქართლ-კახეთის მკვიდრ მცხოვრებლებს.“ მომყავს ამ მოხსენებიდან ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილი, რომელიც არკვევს „საადგილ მამულო კომისიის მომავალ აგრარულ პროგრამას.

„ქართლ-კახეთში — ამბობს მომხსენებელი სცხოვრობს 800,000 სული გლეხკაცებისა ორივე სქესისა. მთელი ხალხი მოსახლეობს 3,681.510 დესეტინის სივრცეზე (თფილისის გუბერნიის ტერიტორიაა), ესე იგი თითო სულზე მოდის 462 დესეტინა მიწა, მაგრამ ამასთანავე საჭიროა მხედველობაში მივიღოთ, რომ თითქმის მთელი მთიანი ნაწილი ქართლ-კახეთისა სრულიად გამოუსადეგარია მეურნეობისათვის.

რომ ამ საერთო ჯამიდან თავად-აზნაურობას, დიდ მთავარს მიხვეულს, კერძო მესაკუთრეებს, უცხოელთა მონასტრებს, სომხის ეკლეზიას, საუფლისწულო, მთავრობის და კერძო დაწესებულებებს ეკუთვნის 1,666,428 დესეტინა, რომ დარჩენილ 2,015,082 დეს., რომელიც ხაზინის კუთვნილებად ითვლება 50 პროცენტი ტყეებით და საძოვრებით დაჭერილია და მაშინ დავრწმუნდებით, რომ მიწის შიმშილი ქართლ-კახეთში ძლიერი უნდა იყოს. ამიტომ შიდა რუსეთიდან რუსების გადმოსახლება დიდ უსამართლობად უნდა ჩაითვალოს ადგილობრივ მცხოვრებთა წინაშე. და ჩვენ მოვალენი ვართ მოვთხოვოთ მთავრობას რუსების გადმოსახლების დაწყებულ საქმის გაუქმება. მაშინ 400,000 ადგილობრივ სახაზინო გლეხკაცების მიწის წყურვილი საკმაოდ დაკმაყოფილდება ხაზინის 2 მილიონ დესეტინის ფონდიდან. რაც შეეხება დანარჩენ 400,000 გლეხკაცსა, რომელთა მიწით დაკმაყოფილება დაკავშირებულია თავად-აზნაურობის კერძო საკუთრებასთან, რასაკვირველია ამ შემთხვევაში დაკმაყოფილების საქმე ბევრად რთულია და ძნელი. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ თავად-აზნაურობის 1,666,428 დესეტინა არის ერთად ერთი ფონდი, საიდამაც მხოლოდ შეიძლება ამ გლეხ-კაცების მიწით დაკმაყოფილება, რასაკვირველია ასთანავე ამნაირსავე მზრუნველობას არ უნდა იყოს მოკლებული უმამულო და მცირე მამულიანი თავად-აზნაურობაც, რომლებიც მოისურვებენ ტრადიციულად მიწის მეურნეობის წარმოებას, რადგან ბოგანო თავად-აზნაური, რომელსაც დაეკარგება იმედი პატიოსან შრომით, თავის ოჯახის ცხოვრების უზრუნველყოფის, დიდ სიბოროტედ და მძიმე ტვირთად მოვლენება საზოგადოებას და სახელმწიფოს. ამიტომ საჭიროა, რომ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის მართველობამ დიდი მამულები შეიძინოს, დაჭყოს ნაწილებად, გააშენოს ზოგზე ფერმები და ერთგვარ და ხელსაყრელ პირობებში, ბანკების და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების დახმარებით, გადასცეს უმამულოებს სრულ საკუთრებად. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი მიწის ფონდი მაინც საკმაოდ ვერ დააკმაყოფილებს ყველა გაჭირვებულს. ამიტომ მეტად საჭიროა ხელის შეწყობა ინტენსიურ მეურნეობის მეტოდების გავრცელებისათვის ახალ სამეურნეო იარაღის შემოღებისათვის, სანერგეების გაშენებისათვის, სამეურნეო სკოლების დარსებისათვის და სხვა, რათა მიწამეტი ნაყოფი გამოუღოს მის პატრონს. ეჰვს გარეშეა, რომ ამ გეგმის განხორციელება მოითხოვს ბევრს დროს და დიდ შრომას, მაგრამ ეს მეტად საჭიროა, აუცილებელი და საჭარო, რადგან ჩვენი მიწა წყალი გადადის უცხოელ კაპიტალისტთა და ხალხთა ხელში, რაც მეტად სახიფათოა ქართლ-კახეთის მკვიდრ მცხოვრებთათვის.“ *)

ამ სახელმძღვანელო იდეიაზე აშენდა საადგილ-მამულო კომისიის ორგანიზაციის მომავალი მუშაობაც. საადგილ-მამულო კომისიის მიზანს კონკრეტულად, როგორც მისი დებულება აღნიშნავს, შეადგენდა:

1. შეძენა დიდი მამულებისა, მათი დაყოფვა და ხელსაყრელ პირობებში საკუთრებად გადაცემა და დამტკიცება უმიწაწყლო და მცირე მამულიან გლეხკაცობაზე.

2. გამოძებნა მათ დასახლებისათვის და მეურნეობისათვის გამოსადეგათ მიწებისა და ამ მოწყობისათვის დახმარების აღმოჩენა, როგორც საკუთარ თანხებიდან ისე საადგილ-მამულო ბანკების საშუალებით და სამელიორაციო კრედიტის შოვნით.

ამ საჭიროებებისათვის კომისია თვითონ აძლევდა მოკლე და გრძელ ვადიან სესხს ერთი წლიდან ათ წლამდე და იღებდა გაცემულ თანხებზე 4%—6%-მდე სარგებელს თავის მოსამსახურე შტატის შენახვისათვის. საადგილ-მამულო კომისიის სათავეში მიექცა განურჩევლად მიმართულებისა სწორედ ის ეროვნულად მოაზროვნე ინტელიგენცია, რომელსაც ასე სწყუროდა ამ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება და გაცნობიერი იყო სოფლის ჭირ-ვარამთან დამის აგრარულ ცხოვრებასთან. კომისიის ხელძღვანელობად სხვა და სხვა დროს ნახავდით სოც.-ფედერალისტებსაც, სოც.-რევოლიუციონერებსაც, ლიბერალებსაც, ნაციონალისტებსაც რომლებიც ხელი ხელ გადამბულნი და გაერთიანებულნი ეწეოდნენ ამ მძიმე მოვალეობის უღელს. თუმცა სოც.-დემოკრატები არ იყვნენ ამ ორგანიზაციაში მაგრამ ზოგი მათგანი თანამშრომლობდა კომისიის მიზნების გამარჯვებისათვის.

რა გაკეთა საადგილ-მამულო კომისიამ ათი წლის განმავლობაში? ამაზე პასუხს იძლევა საადგილ-მამულო კომისიის უკანასკნელი ანგარიში 1916 წლისა:

საადგილ-მამულო კომისიის დაარსების დღიდან, ათი წლის განმავლობაში (1907—1917 წ.) კომისიის შუამავლობით და დახმარებით 11430 კომლმა ქართველმა გლეხკაცმა შეიძინა 216 მამული, სივრცით 50.849 დესეტინა 2685.168 მან. ღირებული, თითო დესეტინა საშუალოდ 52 მან. 80 კაპ. ათი წლის განმავლობაში ზემოხსენებულ მიზნებისათვის გასცა სესხად 295.890 მან. ყველა მამულები ნაყიდი გლეხკაცობის მიერ, კანონიერად და საკუთრებად დამტკიცდა მათზე. ამავე ხნის განმავლობაში, მიუხედავად დიდი სიძნელისა და რუს მთავრობას წინააღმდეგობისა, კომისიამ ზოგიერთ მაზრაში თვითონ გადმოასახლა ხალხი და გააშენებინა რამდენიმე ახალი სოფელი — „სეროდანი“ (თელ. მაზ.], „ახალი პრიუტი“ (ტფ. მაზ.). და სხვა, ამასთანავე საადგილ-მამულო კომისია დიდათ ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას.

კომისიის დახმარებით და ხელმძღვანელობით ქართლ-კახეთის მრავალმა სოფელმა გამოიყვანა სარწყავისრუები და წყლის სასმელისათვის წყალსადენები. იგივე კომისია ეხმარება ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ყოველ. წლივ 12000 მან სუბსიდიით და შველის ქართულ კოოპერატიულ ორგანიზაციებს. სხვა და სხვა დროს კომისიამ სასოფლო ბანკებს მისცა სესხად და შეიტანა მიბაღებით (ვკლადათ) მათ მუშაობის გასაძლიერებლად 200.000 მანეთზე მეტი, ასევე უხვად ეხმარება მწარმოებელ და გამსაღებელ კოოპერატიულ ორგანიზაციებს და მათ კავშირებს. ერთი სიტყვით სადაც კომისიას კი ხელი და სახმარად სწვდებოდა იგი ეხმარებოდა ყველა იმათ, ვინც მიწას და მის მეურნეობას ამა თუ იმ საშუალებით იძენდა, ფლობდა, პატრონობდა და იცავდა. ამ უკანასკნელ მიზნისათვის კომისიას აგრეთვე მოწყობილი ჰქონდა ფართე პროპაგანდა ქართულ სოფლებში, არ იყო სასოფლო საზოგადოება, რომელსაც არ სცოდნოდა კომისიის მოქმედება. მაგრამ ეს მუშაობა მაინც არ აკმაყოფილებდა საადგილ-მამულო კომისიას, რადგან იგი ხედავდა რომ ბრძოლა მიწისთვის აღმოსავლეთ საქართველოში დღითი-დღე მწვავდება, რომ ქართლ-კახეთის მიწა წყალს დაპყრობითი ძლიერის მადით მიაწვა უცხოელების კაპიტალი და უბინადრო უცხო ხალხი, რომ ქართლ-კახეთის გლეხკაცობა ნაკლებად იყო განწყობილი მასიურად ამ ბრძოლაში ჩაბმას და ინერტიულ მდგომარეობას ირჩევდა. კომისიის სულის ჩამდგმელები გრძნობდნენ, რომ ეს ბრძოლა წაგებული იქნება, თუ აღმოსავლეთს უფრო მმოძრავი დასავლეთის გლეხ-კაცობა არ მიეშველება. ამ აზრს კომისია კიი ხანს ადგა, უკანასკნელ დროს ეს გადაიქცა მის idei fixe — ათ, მაგრამ ობიექტიური პირობები და სახსრის ნაკლებობა დიდათ უშლიდა ამ დიდ საქმისათვის ხელი მოეკიდა. და ეს გაბედა მარტო 1916 წელს, როდესაც ომიანობით დაღლილი რუსეთის თვითმპყრობელთა მუშტი შემსუბუქდა. ამისათვის საადგილ-მამულო კომისიამ ძიიღო საგანგებო ახალი სამუშაო გეგმა და მოახდინა რეორგანიზაცია თავის საქმეებისა მუშაობის გაფართოებისათვის ლიხის მთის იქით. ამ მიზნისათვის კომისიამ მოაწყო ქუთაისში საგანგებო საგენტო ბიურო, ჩააყენა მის სათავეში თავისი წარმომადგენელი ამ დიდ საქმის სათანადოთ მოვლისათვის და პროპაგანდისთვის. დასავლეთიდამ უმაძულო გლეხების დაძვრა აღმოსავლეთისაკენ — ეს ძველი ოცნება ქართველთა პოლიტიკურ წრეებისა, კომისიამ დაუახლოვა სინამდვილეს. გეგმა, სპეციალისტები და ფული გადმოსახლებულთა საჭიროებისათვის კომისიას აზად ჰქონდა. მაგრამ 1917 წლის დასაწყისში რუსეთის დიდმა რევოლიუციამ შეაჩერა ეს საგულისხმო და თვალსაჩინო მუშაობა. ქართლ-კახეთის თავად აზნაურობის ცნობილ აქტის შემდეგ კომისიის თახხები და საქმენი თავად-აზნაურობის სხვა კონებასთან ერთად საქართველოს ეროვნულ საბჭოს ჩაბარდა.

საადგილ-მამულო კომისიის ათი წლის ნამუშავარი მოკლედ ასე ხასიათდება:

1. შინაგანი კოლონიზაცია აღმოსავლეთ საქართველოსი მსხვილ მიწის მფლობელთა მამულების იაფ გამოსყიდვით, მათი პარცელიაციით და ქართველ გლეხკაცებისათვის ხელსაყრელ პირობებში საკუთრებად გადაცემით.

2. გამაგრება და პატრონობა ქართლ-კახეთის წვრილ და საშუალო მეურნეობისა.

3. ხელის შეწყობა ინტენსიურ მეურნეობის მეთოდების ქართველ ხალხში გავრცელებისათვის. ეი ამ გეგმას საადგილ-მამულო კომისია ანხორციელებდა ათის წლის განმავლობაში. და რაც გაკეთა ყველაფერი მკვიდრად და საშვილი შვილოდ. ეს იყო ნაციონალური გეგმა. და ეს საღი პოლიტიკური და აგრარული მეკვიდრეობა საადგილ-მამულო კომისიამ ახალ თავისუფალ საქართველოს დაუტოვა.

თუ რასაირად ისარგებლა ამ მემკვიდრეობით დამოუკიდებელ საქართველოს მიწათმომქმედების სამინისტრომ, ამაზე შემდეგ წერილში შეეჩერდებით.

დ. ვაჩნაძე.

*) იხ. ანგარიში საადგილ-მამულო კომისიისა 1907—1908 წ.წ. მოხსენება მ. ვ. მაჩაბლისა. ფურც. 14.

საკვირაო მიმოხილვა.

სომხეთმ დამოუკიდებლობა

ამას წინათ [illegible] ინგლისელებს შავ ზღვისაკენ გზა არ ჰქონდათ, რუს-სომეხ სახალხო პარტიის გაზეთი „Рѣчь“ სწერდა.

„ერთად ერთი ხსნა სომხის ხალხისა ეხლანდელ მდგომარეობაში ის არის, რომ რათაც უნდა დაჯდეს, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა უნდა აღდგეს და ისე, რომ თფილისი ქართველთა და სომეხთა ქალაქი იყოს...

რადგან რუსები და ინგლისელები ჯერ კიდევ შორს არიან, ერთად ერთი იმედი ამ საქმეში აქ მეოფ გერმანელებისა უნდა იყოს.

გერმანიას შეუძლია ალაგმოს თათრების სამხედრო მოქმედებაც და საქართველოც აიძულოს, რომ სომხეთს შეუერთდესო“.

თუ როგორ გაამართლა გერმანულმა ჯარმა კროა-სომხების იმედები, ეს იქიდან სჩანს, თუ რამდენი გერმანული ტყვია ერგოთ იმ სომხებს, რომელნიც ბორჩალოს შემოესიენ და თფილისისკენ მოდიოდნენ.

ახლა სომხებს თავის ძველი პატრონის, რუსეთ-ინგლისის იმედი აქვთ და ალბად, რომ თფილისს ჩააბარებენ.

მაგრამ ინგლისი ბაქოს ტრაგი-კომედიის განმეორებას ვეღარ მოინდომებს და მოღალატე მხდალ სომხობას ვეღარ დაენდობა.

სომხეთის თავდასხმა.

უკანასკნელმა ამბებმა ცხადჰყვეს მთელ საქართველოსთვის, რომ საქართველოს მდგომარეობა ვერ არის უზრუნველყოფილი: ჩვენს დამოუკიდებლობას ბევრი მტერი ჰყავს და ამ მტერთა შორის ყველაზე უფრო სასტიკი და დაუნდობელი სომხობაა... ამ უკანასკნელმა ამბებმა ცხადჰყვეს აგრეთვე ის ჭეშმარიტება, რომელსაც ქართველი ნაციონალისტები მუდამ ვიზიარებდით, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის არის უსათუოდ ეროვნული წინააღმდეგობა, რომლის განელება თუ მოსპობა ყოვლად შეუძლებელია მაღალფარდოვან რევოლიუციონურ თუ დემოკრატიულ შაბლონურ ფრაზეოლოგიით.

სომხების უკანასკნელი გამოსვლა, მათი აღვირახსნილი აგიტაცია სიტყვით თუ წერით საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ მარტივ აზრს, რომ არ შეუძლიათ მეზობლენ საქართველოს დამოუკიდებლობას, მის სუვერენულ თვით-გამგეობას და ვერასოდეს ვერ იქნებიან ამ საქართველოს ინტერესების გულწრფელნი დამცველნი. საჭირო იყო ცოტაოდენი ცვლილება საერთაშორისო დამოკიდებულებაში, რომ ამდენ ხანს გაუჩენელი სომხობა ალაპარაკებულიყო და მათი ფარული გულის ნადები ჩვენთვის აშკარა გამხდარიყო...

როგორც კი ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა პირველი გამარჯვება იგემეს — სომხობას ჩვენში რაღაც შეშფოთება, ნერვიულება დაეტყო. და როდესაც ინგლისის გამარჯვება უკვე ფაქტი გახდა ამ უსაშინელეს საკაცობრიო ომში და გერმანელთ იძულებული გახდა გაეწვია თავისი ჯარები საქართველოდან, მათ იგრძნეს მათთვის სანატრელი ჟამის მოახლოება და ყოველგვარ ზომებს მიმართეს, რათა საქართველოს სახელი ტალახში ამოვსვარათ და მისი დამოუკიდებლობა ნაცარტუტათ ექციათ.

...ეს მათი აგიტაცია მთავრობის წინააღმდეგ ერთი ან ორი დღის საქმე არ არის. დიდი ხანია, რაც ისინი თავის გაზეთების ფურცლებზე აწარმოებენ ამ აგიტაციას და თუ დღეს გახდა ეს აგიტაცია მთავრობისათვის საგრძნობი — ეს იმიტომ რომ მას, მთავრობას მეტის არ დანახვა არ შეეძლო...

დიახ! ჩვენ განგებ ვიბრმავებდით თვალებს და არ გვინდოდა დაგვენახა ის საფრთხე, რომელიც ჩვენ სომხებისგან გველოდა.

და დღეს, როდესაც მათ დინამიტები ჩაგვიწყეს ქვეშ და დღე-დღეზე უნდა აგვაფეთქონ, ბ-ნ ირ. წერეთელს ჰყოფნის გამბედაობა განაცხადოს: „ჩვენ ვერავითარ რეპრესიულ ზომებს ვერ მივმართავთ დაშნაკელების წინააღმდეგ, ვინაიდან ეს ჩვენი სახელის გატეხა იქნებოდა ხალხის თვალში, ჩვენ შეგვიძლია მხოლოთ სიტყვიერი ბრძოლა მათ წინააღმდეგ“-ო... ჭეშმარიტათ კუზიანს სამარე გაასწორებს.....

სომხობა ფართოთ სარგებლობს პრესის თავისუფლებით და აგიტაციას ეწევა აჯანყების მოსაწყობათ შიგნით სახელმწიფოში. ის არავითარ ზომებს არ ერიდება, რომ სისრულეში მოიყვანოს თავის ბნელი ზრახვანი; დღეს თუ ძეგვის ხიდი ააფეთქეს, ხვალ სასახლეს დაგვანგრევენ თავზე და ასე ამგვარათ მოუგრეხენ კისერს ათასჯერ განაწამებ საქართველოს.. ნუ თუ ამის შემდეგ მაინც არ უნდა მიიღოს მთავრობამ სასტიკი ზომები აჯანყებულთა წინააღმდეგ?!....

ნუ თუ ამის შემდეგ მაინც არ უნდა გაახილოს მან თვალი და ნათლათ დაინახოს ის საფრთხე, რომელსაც უქადებს სომხობა საქართველოს და ქართველ ხალხს?!...

ჩვენ მივმართავთ მთავრობას არ დაზოგოს არავითარი ხომა აჯანყებულთა და სამშობლოს მოღალატეთა დასასჯელათ, ვურჩევთ მას დროებით მაინც გამოვიდეს „ინტერნაციონალი“-ს ბურუსიდან და რეალური და მიზანშეწონილი პოლიტიკა აწარმოოს... კმარა გულკეთილობა და სენტიმენტალობა, სულ ერთია არავინ არ აფასებს ამ ჩვენ თანდაყოლილ თვისებას. საჭიროა ჩვენც შევიგნოთ ის აზრი, რომ რკინისა და მახვილის ეპოქაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს გულჩვილობასა და ცრემლების ღვრას პოლიტიკაში...

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი „საყვარელი სტუმრები“ ასე გათამამდენ, სწორეთ ეს გულკეთილობაა ჩვენი მთავრობისა და ჩვენ გვგონია, სანამ ის თხოვნის კილოს ბრძანებისა და მუქარის კილოთი არ შეიცვლის, სომხობა თავის საზიზღარ პროვოკაციას არ მოიშლის.

ჩვენ გვინდა ვიწამოთ, რომ ნოე ჟორდანიას დაპირებანი საქართველოს პარლამენტის წინაშე სინამდვილეთ იქცევა და ჩვენ მოწამენი გავხდებით იმისა, რომ არარატის რესპუბლიკის შფოთიანი მოქალაქენი დინამეტებისა და ყუმბარების წყობის მაგივრათ იძულებულნი იქნებიან მშვიდობიან მოქალაქობრივ ცხოვრებას მიჰყონ ხელი...

შალვა ბუაჩიძე

ახალციხის ფრონტი.

ეს ორი თვე იქნება, რაც ბორჯომ-აწყურში ჩამოვიდა ქართული სამხედრო ნაწილები არტილერიით და სპეციალურ ნაწილით. ბიზანი იყო ახალციხეს და ახალქალაქის მაზრებში შესვლა და იქ პირველ ხანებში წესრიგის დაცვა, ვიდრე ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა. ოსმალების წასვლა ამ მაზრებიდან სულ ახლო ხანში უნდა მომხდარიყო, მაგრამ დღემდე არა სცლიან ამ ორ მაზრას.

პირველ ხანებში ისეთის სიჩქარით დაიძრნენ ოსმალთა ჯარები ამიერ-კავკასიის სხვა ადგილებიდან, რომ გვეშინოდა, ვაი თუ ჩვენი ჯარის ჩამოსვლამდე დასცალონ ოსმალებმა ეს მხარე და სხვა დაეპატრონოს მასაო.

მაგრამ ერთი თვე გავიდა მას შემდეგ და სად არის.

ჩვენი ჯარი ამ ჟამად აწყურის მიდამოებში სანგრებში სხედს და ამნაირად საზღვარი, რომელიც მალე სამხრეთით უნდა გადაწეულიყო, დღეს ფრონტად გადაიქცა.

ჩვენი ჯარის სარდლობამ წინადადება მისცა ოსმალებს თანახმად ოფიციალურ დაპირებისა მიეტოვებინათ ორივე მაზრა, მაგრამ მათ ის მოიმიზეზეს, ვითომც მათ ჯერ ასეთი განკარგულება არ მიეღოთ.

ფრონტის იქიდან, ამ დღეებში გადმოსულთა სიტყვით, ადგილობრივი თათრობა იარაღშია ჩამსხდარი. ისინი დღეს საგრძნობ ძალას წარმოადგენენ ოსმალეთის დაუხმარებლადაც. ახალციხის და ახალქალაქის მაზრების თათრობა ოც-ათასიან კარგად შეიარაღებულ და მომზადებულ ჯარს წარმოადგენს. მათ ხელმძღვანელობენ ოსმალეთის ჯარის ინსტრუქტორები, უმთავრესად ფელდფებელები. ოსმალეთის რეგულიარული ჯარი ამათ გარდა თითქმის სრულებით აღარ არის მაზრებში და მის მაგიერობას ადგილობრივი თათრები ეწევიან. ოსმალებმა არტილერიაც გაზიდეს და მთელ ფრონტზე მხოლოდ სამი თუ ოთხი ზარბაზანი აქვთ და ისიც ერთიერთმანეთზე ძალიან დაშორებული უდგათ.

თათარ-ოსმალები დიდის რიხით ლაპარაკობენ და როდესაც მათ შეეკითხებიან, დაცლას ხომ არ აპირებენ, ისინი უპასუხებენ, ჩვენ არ დავცლით, თუ სურთ მოვიდეს ქართველი ჯარი და ჩვენც პასუხს გავცემთო.

ადვილი მოსალოდნელია მართლაც ბრძოლით მოგვიხდეს ამ ოლქის დაპყრობა.

სხვა რომ არა იყოს რა, ლტოლვილი ჯავახელები აუტანელ მდგომარეობაში არიან და ამ ციე-ყიამათ ზამთარში მათი მთებში, ღია ცის ქვეშ დატოვება წარმოუდგენელია.

თვით ეს ლტოლვილნი ჯერ გულგატეხილნი არ არიან, არა სტირიან თავის ბედს და თხოულობენ ჩქარა განვდევნოთ იარაღით ოსმალები. ჯავახელები მეომარი ხალხია, ხევსურებს მოგაგონებთ და სულ იმას გაიძახიან, აჰ, ერთი შევებრძოლებოდეთ და მაშინ გაჩვენებდით თუ როგორ უნდა ბრძოლაო.

ჩვენი ჯარი საკმაოდ ძლიერია და სამყოფი ოსმალეთ-თათრების საძლევლად როგორც რიცხვით, ისე კიდევ საომარ ღირსებით.

სამივე მიმართულებით: აწყურის, ბაკურიანის და ბაღდათის საკმარისი ჯარი გვყავს ძლიერი არტილერიით.

ეს ის ჯარი არის, ცხინვალ-დუშეთ-საჩხერეში რომ მიდიოდა, ცუდად ჩაცმული, ნახევრად მშიერი ერთი—ორი კვირის განმავლობაში. დღეს თქვენ ამ ჯარს ვეღარ იცნობთ: კარგად გაძოწყობილი, მომზადებული და მტკიცე დისციპლინით შეკავშირებული. შეძლება გვაქვს, რომვსთქვათ აქ მდგარი ჯარი სავსებით აკმაყოფილებს დისციპლინის მოთხოვნილებებს, ვინაიდან საჭირო არა ხდება მიტინგების მართვა დეზერტირების დასაკავებლად და სახაზინო ქონების პარვა—გაფხრების მოსასპობად. სიტყვების ალაგი მაგალითებმა დაიჭირეს. იყო შემთხვევა დეზერტირობისა მეთლ აწყურის ფრონტზე, სამივე დაიჭირეს და სამხედრო საველე სასამართლომ მათ დახვრეტა მიუსაჯა.

ის სოფელი ახალგაზრდები, რომლებიც რამდენიმე თვის წინად ჩვენ ჯარს ებრძოდნენ და ჯარში წამოსულებს კი ემუქრებოდნენ, დღეს თვითონ ჰკიცხავენ დეზერტირებს და მათ წინააღმდეგ არაფერს იშურებენ.

აქ განსაკუთრებით სახეში მაქვს არტილერია და კავალერია, თუმცა ქვეითი ჯარიც მკაცრმა დისციპლინამ სათანადო სიმაღლეზე დააყენა.

სულიერი განწყობილება ჯარისა მაღალია.

ჯარის-კაცები საბრძოლველად მიიწევენ და უფროსები ძალას ხმარობენ, რომ სამშვიდობო კერძო გამოსვლას ადგილი არა ჰქონდეს.

ს. აწყური.

შ. ბუსურაშვილი.

ქართული პრესა.

„ერთობა“ რუსეთის ორიენტაციის შესახებ.

გაზეთი ერთობა სწერს:

დაკარწმუნებთ „სოციალ-დემოკრატს“, რომ ჩვენ სახუმაროთ არ გადაგიდგამს 26 მაისის ისტორიული ნაბიჯი. მართალია, სხვა გვარ პირობებში ჩვენ იქნებ სხვა გზა აგვერჩია, მაგრამ რაკი ერთხელ გამოვცხადეთ დამოუკიდებლობა, ჩვენ ამ გზას ადარ გადავუხვევთ და ტყუიდათ ფიქრობს „სოციალ-დემოკრატი“, ვითომ ჩვენ შესძლებდათ ვთვდიდეთ დემოკრატიულ რუსეთთან შეერთებას. ჩკენ რომ შეერთება გვდომოდა, უეჭველია გერმანიას შეუერთდებოდით, რადგან „სოციალ-დემოკრატების“ ხელმძღვანელები ჯერ ისე არ გაბოდშევიკებულან, რომ გერმანიის დემოკრატია და მისი პოლიტიკური წყობილება უფრო მაღლა არ დაუყენონ თუნდაც იმ რუსეთისაზე, რომელიც ახლო მომავალში უნდა შეიქმნას.

ახალი თავადები სოფლად.

ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტ“-ში ბ-ნი **ირემაშვილი** ასე ახასიათებს მიწების დატაცებას სოფლად:

„მიწა ხელში ჩაიგდო უმთავრესათ სოფლის უმცირესმა, მაგრამ შეძლებულმა ნაწილმა. ეველა სოფლებიდან ისმის ხელმოკლე უმრავლესობის ჩივილი ახალ მოდის თავადებზე, როგორც ისინი ეძახიან შეძლებულებს; ახლა ესენი გაგვიხდნენ თავადები და ბატონებიო, ამბობენ გულდაწყვეტილი ხარ-კამეჩო და უმიწა-წყლო სოფლის მუშები.

მართლაც ხარ-კამეჩის და შეძლების ბატონებმა შეიძლეს ათი, ოცი და ორმოცი დესეტინობით მოხვნა; უმთავრესად მათგე გადაჩეხეს და გამოხიდეს ტყეები, ხოლო ხარ-კამეჩონი დარჩნენ უხნავათ და უშუშოთ...

...შეძლებული ნაწილი სოფლის მუშებისა ებატონება და მთლად ისაკუთრებს სუგეთესო მიწებს; მათი სიხარბე ისე შორს მიდის, რომ ერთგან რომ შემოხვნავენ და გუთნით წრეს შემოავლებენ მიწას, მას მოუხნავს სტოკვებენ, ახლა სხვაგან მარბიან და იქაც იმგვე წრეს შემოვლებით ისაკუთრებენ; ამნაირათ დასაკუთრებულ მიწების დახვნას რომ თავისი ძალ-ღონით ვერ ახერხებენ, ეს ახალ მოდის თავადები სალალოთ აძლევენ მიწებს ხელ-მოკლე სოფლის მუშებს და ერთი ორათ უფრო მეტ ღალს ახლევინებენ მათ, ვიდრე ნამდვილი თავადები ახლევინებდნენ.

ამიტომაც არის, რომ ასეთი უსამართლობის წინააღმდეგ უმთავრესათ ანარქისტულ—ბოლშევიკური ფორმებით იბრძვის სოფლის შეუძლებელი ნაწილი, რომელიც სოფლათ ვერა ხედავს ვერც ძლიერ და მიწის სამართლიანათ გამხაწიდებელ მთავრობას და ვერც იმ სამართალს, ურომლისოთაც სამოქალაქო უფლებრივი ხორმების ფარგლებში საზოგადოებრივი ცხოვრების ჩაყენება შეუძლებელია“.

მეურნეობის პრიზისი საქართველოში

ბ-ნი **მ. იშხნელი** სწერს ჟურნალ „ჯარი და ერის“ პირველ ნომერში:

„ამ ომიანობას, ჩრდილოეთის ფრონტზე ყოფნის დროს, არა ერთ პოლონელ მემამულის სასლ-კარ-მიდამო და მამული მინახავს. დიდებული სასახლე ევროპიულად მოწყობილი, მეურნეობა უმაღლეს საფეხურზე დაყენებული, კულტურულად დამუშავებული სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდა.

რამდენსაც შევხვედებოდი ასეთ კულტურულ ნიადაგზე დაყენებულ მეურნეობას, მყისვე ჩემი სამშობლო მომაგონდებოდა ასოციაციის ძალით და გავიხსენებდი ჩვენს ადამისეულ რვა უღლიან ხის გუთანს, კევრებით ყანისა და ქერის ლეწვას, ფიწლებით ნიავებას და ბევრ სხვა ასეთს, რომელიც მრავალ ხელს, დიდ ენერგიას და დიდ დროსა თხოულობს.

ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, უმრავლესობა ჯერ კიდევ პრიმიტიულათ ამუშავებს მამულს. თითო-ოროლას თუ შევხვედებოდით, რომელნიც მეურნეობას სათანადო ყურადღებას აქცევდენ და კულტურულად ამუშავებდენ, დღეს, საუბედუროდ ათაც ბოლო ეღება.

იმის მაგივრათ, რომ სხვებმაც წაბაძონ ამ მეურნეთ, ამ სამაგალითო მუშაკთ, ეს სხვები მათაც უქარწყლებენ ნამუშავარს, უნგრევენ და უნიავებენ წლობით სათუთათ მოვლილ ბაღ ვენახებს; რასაც ანარქიული მოძრაობა აკლებს, იმას მიწის დეკრეტი ავსებს. დაქუცმაცებული 7 და 15 დესეტინიანი „მემამულე“ რა მანქანებს აამუშავებს ამ ერთ მტკაველა ადგილზე?! ჩვენ ვფიქრობდით, რომ კულტურულათ დამუშავებულ მოვლილ მეურნეობას მთავრობა სახელმწიფო ქონებად მაინც გამოაცხადებდა (შეყიდვით თუ უფასოთ ჩამორთმევით) და ერთიანად გასცემდა იჯარით ან ისევ ყოფილ პატრონზე, რომლის უპრიანიც უფრო იქნებოდა, ან სხვა ვინმე უკეთეს მეურნეზე, თუ, რასაკვირველია, ასეთი გამოჩნდებოდა.

სამწუხაროთ, ჩვენ ამას ვერ ვხედავთ დღეს. პირიქით, ჩამორთმეული მამული ბევრი სულ უპატრონოთ დარჩა, რადგან თუ პატრონს მემამულეს ჩამოართმევს, მაგალითად ხილის ბაღი, მას გლეხები ვერ დაეპატრონენ. ვერ დაეპატრონენ იმიტომ, რომ ერთ მემამულის ბაღი მთელ სოფლის გლეხებს ვერ გასწვდება; რომ დაიყოს, თითო ძირი არ შეხვდებათ და გაყოფაზე ერთი უბედურება დატრიალდება, ერთმანეთს ამოხოცავენ. ამიტომ ყველანი განზე სდგანან, არავინ არ უგდებს ყურს, არავინ ფიქრობს ან ღობის გაკეთებას, ან გასხვლას, ან მორწყვას თუ წამლობას; ხილს კი, სანამ ასხია, ჩუმათ თუ ცხადლივ ყველა ხიდავს და ეს ანიავებს თუ კერძო მესაკუთრის არა, სახელმწიფოს დოვლათს მაინც.

სოფ. ტირძნისში, მაგალითად, ძმებ სულხანიშვილებისთვის კრებაზე სახლის წინ 18 დღის ბაღი ჩამოურთმევია კომისიას და სადღაც შორს დაუტოვებია 14 დღისა. აი ამ 18 დღის ბაღიდან არავის 18 მანეთის ხილი არ გაუყიდნია. სოფლელებს „ძმურათ“, „ამხანაგურათ“ შეუჭამიათ ჯერ კიდევ მგონი, იქვე კუხე ხილი იმ დროს, როდესაც 40000 მან ხილი გაიყიდებოდა. კარგი არ იქნებოდა, რომ ამის ნახევარი ჩვენ ღარიბ სახელმწიფოს ხაზინას შემოსვლოდა? რამდენ ჭამისთანა შეცდომას სჩადის სოფლად შეუგნებელი ხალხი! სად არის, როდის იქნება, რომ სოფლის ადმინისტრაცია თავის ადგილზე იდგეს და ღირსეულათ, შეგნებულათ ასრულებდეს თავის მოვალეობას? სოფლის კომისრებს რომ თვეში აცდათ-ათი თუმანი დაუნიშნეს, გვეგონა რაოდენადმე მომზადებული პირები დაინიშნებოდენ (ოცდა ათი თუმანი თუნდაც ასეთ სიძვირეში, სოფელში მაცხოვრებლისთვის არაა პატარა ჯამაგირი), რომლებიც როგორც დეზერტირ ჯარის კაცებს დაუყონებლივ დააბრუნებდენ თავ-თავიანთ ნაწილებში, ისე სოფლელთა ყოველ წინდაუხედავ უგვანო გამოსვლას ააცდენდენ და სახელმწიფოს ყოველ კუთხეს ნორმალურ კალაპოტში ჩააგდებდენ. თორემ აბა რასა ჰგავს, რომ, მაგალითად ტირძნელებმა შესჭამეს უბარაქოთ სულხანიშვილების ბაღი და ახლა ყურსაც არ იბერტყავენ. დროა ასეთ მოვლენებს მიაქციოს მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება. ეს ბაღი, როგორც კულტურულად დამუშავებული, არ უნდა დაიკარგოს წვრილ ნაჭრებად. დროზე უნდა მიხედოს სამიწადმოქმედო სამინისტრომ და მთლიანად გასცეს იჯარით შესაფერ მოიჯარადრეზე, თუ მაინც და მაინც არ დაიშლიან და ჩამოართმევენ სულხანიშვილებსო“.

კვირას 24 გიორგობისთვეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში შესრულებულ იქმნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი **კნეინა ნინო ძიხეიძის ასულ**

ჩოლოყაშვილის

(ოჯახად. ამილახვრისა)

სულის [illegible] ნიებლათ განსვენებულის საფლავ[illegible] ასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნ[illegible] კნეინა ანნა ესტატეს ასული ამილახვრისა, და სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილი და ნატალია გივის ასული ტერიშვილისა. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

ფელეტონი

სოციალისტური რესპუბლიკა

გერმანიის რაიხსტაგის წევრის

რიხტერის კრიტიკა

თავი XI.

ახალი ოჯახური ცხოვრება

მოხდა დიდი საბინო ლატარეია და ჩვენ ახალ სადგომში გადავედით. მართალია, ჩვენ კი არაფერი მოგვიგია ამით ვცხოვრობდით დედა-ქალაქში, მესამე სართულში, წინ და შემოხვევით ამავე სახლის ეზოშიეე მივიღეთ ბინა ისევ სესამე სართულში. ჩემი ცოლი ძალიან იმედგაცრუებულია. თუმცა პატარა ვილლაზე ფიქრს თავი დაანება, მაგრამ იმედი კი ჰქონდა, რომ სადმე მეორე სართულში მაინც მივიღებდით ბინას.

მეც ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვაძლევდი ბინას. აქამდე ექვსნი ვიყავით და ოთხი ოთახი გვეჭირა სამზარეულოთი ორი ოთახი, სადაც პაპასა და ბავშვებს ეძინათ; ახლა რა თქმა უნდა ჩვენთვის საჭირო აღარ არის. აღარც სამზარეულოა საჭირო, რადგან ხვალ სახელმწიფოსამზარეულო იხსნება. მაგრამ ორის ან სამილამაზ ოთახის მიღების იმედი მეც მქონდა ამის მაგიერად მივიღეთ ერთი ოთახი და პაწაწა საკუჭნაო, წინად რომ მოსამსახურეებს აძლევდნენ ხოლმე, — ისეთი. სადგომი ბნელია და დაბალ-ჭერიანი. არც ტალანი გვაქვს, არც რისამე შესანახი ადგილი, რაც სადგომ ბინას შეეფერება.

თუმცა ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ჩვენი ქალაქის სამმართველო პატიოსანია და მხოლოდ გაიძვერა იძლევა იმაზე მეტს, რაცა აქვს. როგორც ქალაქის საბჭოს გუშინდელ სხდომაზე იყო მოხსენებული, ქალაქის ორ მილიონ მცხოვრებზე ერთი მილიონი სადგომი ოთახია. სადგომების მოთხოვნილება კი საზოგადო დანიშნულებისათვის ჩვენს გასოციალისტებულ საზოგადოებაში მეტის მეტად გაიზარდა. ამიტომ საზოგადო შენობებისა და სავაჭრო დაწესებულებების სადგომებმა მხოლოდ ცოტაოდნათ დააკმაყოფილეს ნამდვილი მოთხოვნილება ბინისა. იძულებულნი გახდნენ აღმზრდელსა და თავშესაფარ სახლებში მოეთავსებინათ მილიონი ახალგაზრდა და მოხუცი. საავადმყოფოები 80000 საწოლი უკვე დანიშნულია.

ასეთს საზოგადო ინტერესს უპირატესობა უნდა მიეცეს კერძო ინტერესებთან. ამიტომაც სამართლიანად იქმნა არჩეული საზოგადოებისათვის საუკეთესო და დიდრონი შენობები ქალაქის დასავლეთ ნაწილში. შუაგულ ნაწილში უმთავრესად მოთავსებულია დაწესებულებანი და საქონლის. საწყობები სარდაფებში ყველგან მოთავსებულია სამზარეულოები და სასადილოები იმ მილიონ მცხოვრებთათვის, რომელნიც საზოგადო დაწესებულებებში ვერა თავსდებიან უკანა ფლიგელებში მოწყობილია ცენტრალური სამრეცხველო ამ მცხოვრებთათვის. ამგვარ და ამოდენა სპეციალურ მიზნებისათვის სადგომების მიჩენის აუცილებლობამ ადრევე გამოიწვია კერძო ბინების შემცირება.

ახალმა მთავრობამ, როგორც ნათქვამია, თავის განკარგულებაში მიიღო მილიონი ასეთი ოთახი. საზოგადოების საჭიროებათა დაკმაყოფილების შემდეგ დარჩა 600000 ასე თუ ისე წვრილი საცხოვრებელი ოთახი, რამდენიმე ასი ათას საშზარეულოთა და სხვა ცალკე შენობებით. ამიტომ კერძო სადგომის მსაჭიროებელ მილიონ მცხოვრებთათვის თითო სადგომი მოდიოდა თითო ადამიანზე. რათა თავიდან აეცილებინათ ყოველგვარი უსამართლობა, ეს სადგომები ლატარიაში გაათამაშეს. თითო სულ ადამიანს, მამაკაცთა თუ დედაკაცთა სქესისას 21-დან 65 წლამდე, თითო ბილეთი მიეცა. ლატარია საზოგადოთ კარგი საქმეა თანასწორობის პრინციპის დასაცავად ნერვიულ მდგომარეობის დროს. ბერლინის სოციალ-დემოკრატებმა უკვე ძველი წესწყობილების დროს შემოიღეს ასეთი ლატარია თეატრის ადგილებისათვის.

სადგომების ლატარიაში გათამაშების შემდეგ ნება დართული შეიქმნა ნარგებ სადგომების გაცვლა-გამოცვლა. ვისაც სურდა ერთად დარჩენილიყვნენ, როგორც, მაგალითად ცოლ-ქმარნი, რომელთაც სხვა და სხვა ადგილას შეხვდათ ბინა, სხვა ქუჩაზე, სხვა სახლში, ან სხვა სართულში, ერთმანეთს უცვლიდნენ ბინებს. მე მოვახერხე ჩემი ცოლის წოწოლიკა ოთახის გვერდით მეშოვნა ერთი მოსამსახურის პაწაწკინა ოთახი. ჩემი ოთახი კი რომელიც წილათ მერგო მეზობლად მყოფ სახლში: ერთს ყმაწვილ კაცს გავუცვალე ამ მის ნარგებ ოთახში, სამაგიეროთ ცოლს მოშორებული არ ვიქნები და ეს კი ყველაფერია.

მართალია, ყველა ცოლქმარმა ვერ მოახერხა ასე ჩინებულად მოწყობილიყო სადგომის გაცვლის მეოხებით. ზოგიერთი იქნება დიდათ არც კი ცდილობს ხელახლა შეუღლებას. ქორწინება კერძო საქმეა და ამიტომ არ შეიძლებოდა გაეთამაშებიათბინები დიდრონი ცოლქმართათვის, მომცროება უცოლშვილოთათვის. ამისთანა წესწყობილების დროს თუ ვინიცობაა განქორწინება მოხდებოდა, რაც ყოველ დროს შესაძლებელია, ეს შეკავშირებული იქნებოდა უცოლშვილოთათვის ბინის განთავისუფლებასთან. ეხლა, პირიქით ყოველი სადგომი, შეერთებული ორივე პირის თანხმობით ქორწინების დროს, შესაძლებელია განქორწინების დროს ასევე გაიყოს. შეერთებულ ავეჯებს გაჰყოფენ და მორჩა.

ამგვარათ, აქაც ამ ახალ საზოგადოებაში ყველაფერი რიგიანად მოწყობილი და გონივრულად გათვალისწინებულია. ეს დაწესებულებანი, რომელნიც უზრუნველმყოფელნი არიან ქალთა და კაცთა პირადის თავისუფლებისა, როგორ ცხადათ მეტყველობენ იმათ წინააღმდეგ, რომელნიც იმას ამტკიცებდნენ, რომ სოციალ-დემოკრატობა ნიშნავს ინდივიდების დამონავებას.

ჩემთვის და ჩემის ბებრუხანისათვის ამ საკითხს, რასაკვირველია, პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ, როგორც დღემდე, სიკვდილამდე გავიყოფთ ერთმანეთის ჭირსა და ლხინს. მხოლოდ სუსტი ბუნებისანი, როგორც წინანდელ საზოგადოებაში, საჭიროებენ გარეგან მიზნებს, რათა გულთა შინაგანი კავშირი არ დაირღვეს.

სამწუხაროდ, გადასვლის დროს ბევრს საჭირო საოჯახო ნივთებს გამოვეთხოვეთ. ახალი სადგომი მეტად პატარა გამოდგა წინანდელ ჩვენის ავეჯის ნარჩენის მოსათავებლად. ჩვენ, რასაკვირველია, შევყარეთ ყველაფერი, რაც კი დაეტია, ასე რომ რამდენადმე მოძრაობაც გვიჭირს, მაგრამ წინადელი მოსამსახურის საკუჭნაო ნამეტნავად პაწაწაა და ცოტა თავისუფალი კედელია შიგ. ბევრი სხვის მდგომარეობაც არ არის უკეთესი. ამიტომ გადასვლის დროს დიდძალი ავეჯი დარჩა ქუჩაზე, რადგან ახალ სადგომში ადგილი აღარ იპოვებოდა. ყველა ეს ნივთები მოგროვილ იქმნა ჩვენის ჯერ კიდევ მოუწყობელ დიდ საზოგადო დაწესებულებათა შესავსებად.

მაგრამ ნუ ვიდარდებთ საქმე ეხება ახალ საზოგადოების ორგანიზაციას, ნაცვლად უბადრუკ კერძო არსებობისა, უზარმაზარ საზოგადო ცხოვრებას, რომელიც თვისის უნაკლულო დაწესებულებათა მეოხებით, ყველას, განურჩევლად, ყოველგვარ სულიერსა და ხორციელს საზრდოს აძლევს დასასვენებლად და საერთოდ, ყველაფერს, რითაც კი უწინ მხოლოდ უმაღლესი კლასები სარგებლობდნენ.— ხვალ გაიხსნება სახელმწიფო საზაზარეულოები, ამას კიდევ ჩქარა უნდა მოჰყვეს გახსნა ახალ სახალხო თეატრებისა.

(შემდეგი იქნება)

უკანასკნელი ცნობები.

ინგლისის დელეგაცია [illegible] და და დღეს მას თბილისში მოელიან.

დენიკინის ჯარს შეუდგენია ახალი დროებითი მთავრობა „რუსეთისა“: თავმჯდომარეა გენ. დრაგომიროვი, საგარეო საქმეთა მინისტრია, ასტროვი შინაგან საქმეთა.

გენერალ დენიკინის გამოუცხადებია, საფრანგეთ-ინგლისმა დროებით ზავის ერთ ერთ პირობად გერმანიას რუსეთისწაერთიანება აღიარებია 1914 წლის საზღვრებში, ფინლიანდიითა და პოლონეთითო.

ბაქოდან ინგლისელ გენერალ ტომსონის ტელეგრამა მოვიდა, სადაც იგი გერმანელ ჯარებს წინადადებას აძლევს ჯერ ხნობით საქართველოში დარჩნენ.

ნური-ფაშა ბაქოდან განჯაში ჩამოსულა.

სომხების ცნობებით ინგლისელები და ბიჩერახოვის რუსის რაზმი განჯაში მოვიდა.

სტამბოლი ინგლისის ჯარის ხელშია. შავ ზღვაზე ინგლისის ბაზა ქ. ვარნაში არის.

თფილისში გერმანულ ჯარში კავკაველ ბოლშევიკების პროკლამაციები ვრცელდება გერმანულ ენაზე.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტში პირველ ალაგზე არჩეულია ჟორდანია, მეორედ ჩხეიძე, მესამედ არსენიძე და მეოთხედ წერეთელი.

სოციალ-დემოკრატიულ კონფერენციას დაუდგენია [illegible] ბის ჩამორთმევა ქალაქებშიც მოხდეს.

ინგლის-გერმანიის საზავო მოლაპარაკება დეკემბერში დაიწყება და იანვრამდის დასრულდება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კ. ჩხეიძე საგანგებო დელეგაციის სათავეში მიემგზავრება ევროპაში კონფერენციაზე დასასწრებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება და ლტოლვილნი

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ 5 ივლისს შეადგინა ვრცელი მოხსენება ქართველ ლტოლვილებზე მთავრობასთან წარსადგენათ.

მოხსენება იწყება მიმდინარე წლის იანვრის შუა რიცხვებში გორისა და სხვა მაზრებში ანარქიულათ განწყობილ ელემენტების მოქმედების შესახებ მემამულეთა წინააღმდეგ, რასაც შედეგათ მოჰყოლია ქ. ტფილისში ახალ ჯურის ლტოლვილების დენა გორის, დუშეთის და სხვა მაზრებიდან. ამავე დროს ქალ. ტფილისს მოსწყდომია აუარებელი გამოქცეული კავკ. ფრონტიდან, რომელთა რიცხვს უმთავრესად შეადგენდნენ სომხები, რუსები, აისორები და სხვანი. მთავრობის განკარგულებით ყველა ამ ლტოლვილთა გამოკვება დაეკისრა ქალაქის გამგეობას და ამ საერთო რიცხვში მოექცენ ქართველი ლტოლვილებიც.

საქვ. საზ. გამგეობა უმთავრესად თავის მხრივ დახმარებას უწევდა იმ ლტოლვილებს, რომელნიც საზოგადოების სიებში იყვნენ შეტანილნი, ხოლო 16 ივლისიდან მთავრობის ხელახლა განკარგულებით ქართველ ლტოლვილების დახმარების საქმე განსაკუთრებით მიენდო ისევ ქართვ. საქვ. საზოგადოებას. შემდეგ მოხსენება ეხება ლტოლვილთა სტატისტიკას: საზოგადოების მიერ უკანასკნელ დრომდე აღნუსხულია 572 ოჯახი რომელიც შესდგება ორიოდ სქესის, 2869 სულისაგან. თებერვლიდან საზოგადოებას გაუცია ფულად 94 ათასი მანეთი. ამ ანგარიშით გამოდის, რომ თვითეულ ოჯახს 8 თვის განმავლობაში მიუღია 26 მან. და თითო სულს 2 მან. 80 კ. საზოგადოება სცნობს გადიდებულ იქმნას დახმარების ხვედრი ფული (პაეკი) სამ მანეთამდე დღეში სულზე. საზოგადოებას შეუსყიდია კახეთში 65 ათასი მანეთის პური და 2 მ. 60 კ. ძღლევდა გირვანქას. შემდეგ საზოგადოების გამგეობა საჭიროდ რაცხს ლტოლვილთა უზრუნველსაყოფად ერთი წლის განმავლობაში, ე. ი. მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან მომავალ წლის 1 ოქტომბრამდე მთავრობისაგან თანხის მიღებას შემდეგი ანგარიშით: 1200 სულს (300 ოჯახის გამოკლებით) დღეში დასჭირდება 3600 მ. და ერთი წლის განმავლობაში 1,314,000 მან. გარდა ამისა საზოგადოებამ თანხების გასაძლიერებლად გადასწყვიტა გახსნას მომხმარებელი დუქანი და მისი დაარსება კი შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ მთავრობა აღმოუჩენს დახმარებას საჭირო საქონლის მიწოდებით შეღავათიან ფასებში. დასასრულ საქ. საზ. გამგეობა ეხება მთავრობის სურვილს ლტოლვილთა განადგურებულ მეურნეობის აღდგენისა და საერთოდ კულტურის აყვავებას ჩვენს ქვეყანაში, რის შესახებაც შინაგან საქმეთა მინისტრმა უკვე გამოსთქვა თავისი მტკიცე დადებითი შეხედულება და საჭიროდ სთვლის ეხლავ შესდგეს ყველა მაზრებში განსაკუთრებული კომისიები, რომელთაც დაეკალებათ გამოკვლევა და აღნუსხვა ყველა დაქცეულ მეურნეობისა და იმ ზარალისა, რომელიც გამოწვეულ იქმნა ანარქიისაგან.

საქართველოს საზღვრების დაცვა.

საბაჟოების და სანაპირო რაზმების განყოფილების, უბნების და სადარაჯო ბინების უფროსებს.

მიღებული ცნობებით, იმ პირთ, რომელნიც მიემგზავრებიან ბაქოს და ალექსანდროპოლ-ერევნის რკინის გზებზედ, გააქვთ საქართველოს საზღვრებიდან დიდძალი სურსათი და საქონელი, რომლის გატანა აკრძალულია. ამის შეწყეტისათვის საჭიროა სწრაფად მიღებულ იყოს შემდეგი ზომები.

1. მატარაბლები, რომელნიც მიდიან საქართველოდან ბაქოში, უნდა იყოს დათვალიერებული სალო-ოღლის სადგურზე და რომელნიც მიდიან ალექსანდროპოლ-ერევნისკენ სადგურ სანაინში.

2. მატარებლების და მგზავრების დათვალიერებას ხელმძღვანელობს საბაჟოს მოხელე სანაპირო დარაჯის თანდასწრებით და დახმარებით.

3. მგზავრების დათვალიერების დროს უნდა ხელმძღვანელობდეთ შემდეგით:

ა) თითეულ პირს ნება აქვს წაიღოს:

ნახევარი გირვანქა შაქარი,

მერვედი ჩაი, ერთი საპონი, მეოთხედი თუთუნი, 50 ცალი პაპიროსი, ორი პაპიროსის ქაღალდის წიგნაკი და სხვა სურსათი, რაც აუცილებელი საჭიროა ორ დღე და ღამისთვის.

ბ) ნაჩვენებ ზომაზე მეტი სურსათი და საქონელი შეუძლიათ წაიღონ იმათ, ვისაც აქვს მოწმობა საქართველოს რესპუბლიკის საქონლის გამცვლელ-გამომცვლელ თავმჯდომარისაგან.

ვ) მგზავრების ხაბაკის გარდა (მუხ. 713 წესდ. საბაჟ.) ყველაფერი ზომაზე მეტი სურსათი და საქონელი ერთმანეთ და სდგება ერთი ოქმი (აქტი).

გ) აქტში უნდა იყვეს ნაჩვენები იმ პირთა სახელი და გვარი, ვისაც საქონელი ან სურსათი ჩამოართვეს და აგრეთვე რაოდენობა და თვისება ჩამორთმეულ საქონლისა და სურსათისა.

ჩამორთმეულ მიწეგის გაყიდვა.

მიწათმოქმედების სამინისტროს კანონ-პროექტი

§ 1.

მიწები სახელმწიფო ფონდიდან გადაცემულ იქნება კერძო საკუთრებათ სოფლელთათვის იმ წესით, რომელიც აღნიშნულია ამ კანონის მეორე მუხლში.

§ 2.

ადგილობრივ მცხოვრებთა შორის არ განაწილდება იმის მეტი მიწა, რაც აღნიშნულია ამიერ-კავკასიის კომისარიატის 16 დეკემბრის 1917 წლის დეკრეტის მეხუთე მუხლში და ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 2 მაისის კანონში და არც ის მიწები, რომლებიც დანიშნულია მინისტრის განკარგულებით გადასახლებისა და დასახლებისათვის.

§ 3.

მიწები ეძლევათ საკუთრებათ უმამულო და მცირე-მამულიან სოფლელთ, რომელთა უმთავრეს საარსებო წყაროს სოფლის სამეურნეო შრომა შეადგენს.

შენიშვნა: 1917 წლის 1 მარტიდან დაარსებულ ქალაქების მცხოვრებთ, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემო-აღნიშნულ მესამე მუხლის მოთხოვნილებებს, არ ეკრძალებათ „ნადელის“ საკუთრათ მიღება.

§ 4.

თუ რამდენიმე პირი, რომელთაგან თითოეულს უფლება აქვს ცალკე „ნადელის“ მიღებისა, წერილობით განაცხადებს სურვილს მათ მიერ კუთვნილ მიწების საერთო საკუთრებათ გადაცემისას, ასეთი თხოვნა დაკმაყოფილებულ უნდა იქნას.

§ 5.

თუ სოფლის საზოგადოება ან ცალკე სოფელი, რომლის მცხოვრებთა შორის განსაზღვრული რაოდენობა მიწისა უნდა დანაწილებულ იქნას, დაადგენს ყველა სრულ-წლოვანთა ორი მესამედი ხმის უმეტესობით განაჩენს, რომ ეს მიწა მას საზოგადო საკუთრებათ გადაეცეს, ასეთი თხოვნა დაკმაყოფილებულ უნდა იქნას. მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ეს საზოგადოება ან სოფელი წარუდგენს სამაზრო საერობო გამგეობას, ხოლო საცა ეს არ არის სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობას თავის დადგენილებას, მიწის ამნაირი წესით გადაცემისას.

§ 6.

საბალახო მიწები საერთო საკუთრებათ გადაეცემა სოფლის საზოგადოებებს ან და სოფლებს.

§ 7.

სოფლის მცხოვრებთ მიწები კომლობით გადაეცემა ისეთი ზომით, რომ მიცემული მიწა კომლის წინანდელ უძრავ ქონებასთან ერთად, არ აღემატებოდეს იმ ნორმებს, რომლებიც აღნიშნულია კერძო მესაკუთრეთათვის მიწების ჩამორთმევის დროს ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 7 მარტის კანონის მეორე მუხლში. ამ ფარგლებში მიწების გადაცემას წარმოებს იმ წესის მიხედვით, რომ მიწა გადაეცეს უმთავრესად იმ კომლს, რომელიც თავიდანვე თავის შრომას მას ახმარდა და ყოველს ოჯახს შეძლება ჰქონდეს თავისი წილით მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა.

§ 8.

აგრარულ რეფორმის ამ კანონის ძალით გატარება ევალება სამიწათმოქმედო სამინისტროს, რომლის ადგილობრივ ორგანოებათ ამ შემთხვევაში ირიცხება:

ა) სამაზრო საერობო გამგეობანი, რომლებთანაც გადადის უფლება და მოვალეობა სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობებისა, ბ) სამაზრო ერობები, სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობანი იმ მაზრებში სადაც საერობო თვითმართველობები ჯერ კიდევ არ არის და გ) სარაიონო კომისიები.

§ 9.

სამიწათმოქმედო მინისტრის განკარგულებით, თითოული მაზრა იყოფა აგრარულ რაიონებათ. თითოულ რაიონში არსდება სარაიონო კომისია 3—5 პირისაგან შედგარი, ამორჩეული სარაიონო თათბირის მიერ. სარაიონო თათბირი, რომელიც შესდგება ამ რაიონის საერობო ხმოსნებისაგან და სოფლების მიერ არჩეულ წარმომადგენელთან (ორ-ორი კაცი თითო სოფლისაგან) იკრიბება საერობო გამგეობის მოწვევით, რომლის ერთი წევრი კრებას თავმჯდომარეობს. იმ მაზრებში, საცა საერობო ხმოსნები არჩეული არ არის, სარაიონო თათბირი დგება ზემო აღნიშნულ სოფელთა წარმომადგენლებისაგან და საადგილ მამულო გამგეობის წარმომადგენელთაგან საერობო ხმოსანთა რაოდენობის რიცხვით მიღებულს ამ რაიონისათვის. ასეთ მაზრებში სარაიონო თათბირები იმართება სამაზრო საადგილ მამულო გამგეობის მიერ, რომლის წევრი თავმჯდომარეობს ამ კრებას.

შენიშვნა: თითოეულ სარაიონო კომისიაში არის მდივანი და მიწის მზომელი მიწათმოქმედების მინისტრის მიერ დანიშნული განსაზღვრულის ჯამაგირით.

§ 10.

საქართველოს მიწის ფონდი, რომელიც უნდა ადგილობრივ მცხოვრებთ გადაეცეს მაზრებს, ხოლო თითოეულ მაზრაში კი თითეულ რაიონს სამიწათმოქმედო მინისტრი უნაწილებს. რაიონისათვის განსაზღვრული მიწის ფონდი სარაიონო კომისიის მიერ უნაწილდება სოფლის საზოგადოებებს, სოფლებს და იმ პირთ, რომელთაც მიწა უნდა გადაეცეს.

§ 11.

ის პირი, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს „ნადელი“ უცხადებს ოავის სურვილს სარაიონო კომისიას, რისთვისაც იგი ვალდებულია კომისიას ერთდროულად წარმოუდგინოს ცნობები მის ხელში მყოფ მიწის ზომისა, მამულის ყოველგვარი დარგის აღნიშვნით. პირი, რომელიც ამ შემთხვევაში კომისიას თავის უძრავ ქონების შესახებ ცრუ ცნობებს გადასცემს, ისჯება ციხეში დამწყვდევით ერთი თვიდან ერთ წლამდი, და ამას გარდა ჰკარგავს უფლებას „ნადელის“ მიღებისას და თუ მიიღო „ნადელი“ ჩამოერთმევა იგი სახელმწიფოს სასარგებლოთ.

§ 12.

სარაიონო კომისიის მოვალეობას შეადგენს თითოეულ მიწის მიღების მსურველის უძრავი ქონება შეამოწმოს გამოიკვლიოს იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც უნდა მიიღონ მიწა, და მოთხოვნილებათა მიწის ფონდთან შეფარდებით ამ რაიონში, დაანაწილოს მიწის ფონდი იმ წესით, როგორც ნაჩვენებია ამ კანონის მე-3-7 მუხლებში.

§ 13.

რაიონის კომისია ამ რაიონის საზღვრებში აწყობს კომისიებს სასოფლო საზოგადოებებში და სოფლებში 3-5 კაცისაგან შემდგართ, რომელნიც არჩეულ იქნებიან სასოფლო ყრილობათა მიერ.

თითოეული სოფლის საზოგადოების კომისია სარაიონო კომისიას ურდგენს თავის მოსაზრებებს ამა თუ იმ სოფლის საზოგადოებისათვის დანიშნულ საადგილ-მამულო ფონდის სოფელთა შორის განაწილების შესახებ. ხოლო სოფლის კომისია ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებთა შორის მიწის განაწილების შესახებ.

§ 14.

როცა სარაიონო კომისია რომელიც განსაზღვრავს, რომელი „ნადელი“ უნდა გადაეცეს სასოფლო საზოგადოებებს ან სოფელს საერთო საკუთრებათ ან და კერძო პირთ კერძო საკუთრებათ, შეადგენს აქტს კომისიის ყველა წევრების ხელის მოწერით როდესაც „ნადელის“ მიმღები საზოგადოება, სოფელი თუ კერძო პირი, ხაზინის კვიტანციას წარმოადგენს ნადელის ფასის გადახდისას, წარუდგენს აქტს დასამტკიცებლად სამაზრო საერობო გამგეობას, მხოლოდ სადაც უკანასკნელი არ არის სამიწათ-მომქმედო გამგეობას.

§ 15.

დაინტერესებულ საზოგადოებათ, სოფლებთ და კერძო პირთ შეუძლიათ სარაიონო კომისიის განკარგულება ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებისა გასაჩივრონ სამაზრო საერობო გამგეობაში, ხოლო სადაც ეგ არ იქნება, საადგილ-მამულო გამგეობაში. საჩივარი უნდა იქნეს განცხადებული სარაიონო კომისიაში, რომელიც თავისი განმარტებით სამი დღის განმავლობაში გადასცემს საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობასი.

§ 16.

სამაზრო საერობო თუ საადგილ-მამულო გამგეობას, მოისმენს რა განმარტებას დაინტერესებულ პირთა (თუ ისინი გამოცხადდენ) გამოაქვს თავისი დადგენილება და ამის შემდგ ან დაამტკიცებს „ნადელის“ შესახებ სარაიონო კომისიის მიერ წადგენილ აქტს შეუსწორებლივ, ან შეასწორებს ან და დაუბრუნებს სარაიონო კომისრას ახალ „სანადელო“ აქტის შესადგენად. გამგეობის მიერ დამტკიცებული სანადელო სიმტკიცის აქტის ძალა. (крѣпостной) აქტის ასლი გადაეცემა „ნადელის“ მიმღებ სასოფლო საზოგადოებას ან კერძო პირთ, მეორე ასლი კი—წარეგზავნება უფროს ნოტარიუსს სიმტკიცის საქმეთა რეესტრში აღსანიშნავად.

§ 17.

მიწები, რომელნიც უნდა განაწილდეს მცხოვრებთა შორის, გაიყიდება დაწეულ შეღავათიან ფასებში იმ პირებზე, ვისაც უფლება აქვს „ნადელის“ მიღებისა, იმ ფასით, რომლითაც სახელმწიფომ უნდა დაფაროს ხარჯები, საჭირო საადგილ-მამულო ბანკების ვალის გასასწორებლად მიწების მოსარწყავათ და გასაშრობათ, გადასახლებ-გადმოსახლებისათვის, აგრარულ რეფორმების გასატარებლად მათთან დაკავშირებულ აუცილებელ საჭიროებათა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და აგრეთვე განსაკუთრებულ ფონდის შესაქმნელად, რომელიც საჭიროა მეურნეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, მიწათ-მოქმედების მინისტრი ადგენს ყოველ რაიონში დესეტინაზე საშუალო ფასს ხუთას მანეთიდან ათას მანეთამდ.

თითოეულ დესეტინის საშუალო ფასით აღინიშნება საერთო ჯამი, რომელიც ხვდება წილად თითოეულ რაიონს. ამ საერთო ჯამის მიხედვით, რაიონის კომისია ნიშნავს ფასს მიწის ღირსებისდა მიხედვით. მიწათმოქმედების მინისტრს აქვს უფლება დესეტინის საშვალო ფასი საბალახოებზე შეამციროს ორას მანეთამდ.

შენიშვნა: ქალაქის ახლო მდებარე და კულტურული მიწები და აგრეთვე ვენახები ბაზრის ფასით უნდა გაიყიდოს.

§ 18.

ყველა დაწესებულებანი და მოხელეები აღმოუჩენენ დახმარებას აგრარულ რეფორმების გამტარებელ ორგანოებს, ხოლო დაინტერესებული სოფლის საზოგადოებანი, სოფლები და კერძო პირები ვალდებულნი არიან დაუთმონ ამ ორგანოებს განკარულებაში გადასაზიდი საშუალებანი, ინსტრუმენტები, და ყოველ გვარი მასალა სამეჯნო ნიშნებისათვის.

§ 19.

„ნადელის“ მიმღებ პირს შეუძლია ამ კანონით მიღებულ მიწის გაყიდვა მხოლოდ სამაზრო საერობო გამგეობის ნებართვით, ამასთანავე თვით სამაზრო ერობას შეუძლია შეიძინოს გასასყიდი მიწა, გამყიდველისაგან გადახდილ ფასში და აგრეთვე იმ ფასის გადახდით, რაც გასაყიდ მამულის გაუმჯობესებისათვის ერგება პატრონს,

§ 20.

ამ კანონების განსამარტავად მიწათ მოქმედების მინისტრს უფლება აქვს ინსტრუქციათა გამოცემისა.

§ 21.

ეს კანონი შედის ძალაში დღეიდან მიღებისა საქართველოს პარლამენტის მიერ.

მიწეგის კერძოთ გაყიდვის გამო.

მიწათ მოქმედების მინისტრის ბრძანება

თანახმად 1917 წლის 16 დეკემბრის დეკრეტისა და 1918 წლის 7 მარტის კანონისა, მემამულეთა მიწები, რომლებიც ნორმას აღემატება ჩამორთმელ იქნება და გადაეცემა სახელმწიფო სამიწათმოქმედო ფონდს.

ერთ-ერთ პატრონთ და ჩამორთმეულ მიწების უფლებრივ განმანაწილებლათ არის სახელმწიფო სამიწათმოქმედო მინისტრის სახით. მემამულეთათვის, ყოფილ მიწების პატრონთათვის, ჩამორთმეული მიწები სხვისად ითვლება, რომელთადმი რაიმე ბრძანების გაცემის უფლება მათ არა აქვთ, ისე როგორც არავისა აქვს უფლება სხვისი ქონების განაწილებისა.

მიუხედავათ იმისა, ჩემამდი აღწევენ ცნობები, რომ ზოგი მემამულე შინაური წესითა ჰყიდის გლეხებზე ჩამორთმეულ მიწებს.

ამით ვაფრთხილებ მცხოვრებთ, რომ მემამულეთა მიერ, თუ გინდ შინაური წესით მათგან ჩამორთმეულ და საერთო ფონდში გადასულ მიწების გაყიდვა დანაშაულათ ჩაითვლება, როგორც აღნიშნულია სტ. სტ. 54 X, 1699 და 1702 (დებულება სასჯელისადმი), რომელთა მიხედვით, როგორც მყიდველს, აგრეთვე გამყიდველს ერთმანეთ ყოველივე უფლება და ღირსება და იგზავნება საგუბერნიო გამასწორებელ რაზმში ოთხიდან ხუთ წლამდი. ამას გარდა გაყიდვის აქტი ჩაითვლება უვარგისად და სახელმწიფოს მიერ მყიდველისაგან ასეთი მიწა წართმეულ იქნება.

ასეთივე დანაშაულათ ჩაითვლება ყოველივე მოქმედება, რომელიც ასეთ გაყიდვის აქტს ფარავს (მაგ. მემამულე იღებს ფულს და იძლევა ხელწერილს, რომ გადაცემულს მიწაზე არავითარ პრეტენზიას არ განაცხადებს).

ასეთი მოქმედებით შეძლებულნი, უზრუნველყოფილნი მიწით, ართმევენ უმიწაწყლოთ, რომელთათვის გროვდება მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწები.

ამიტომ ვთხოვ ყველას, როგორც მესაკუთრეთ აგრეთვე კერძო პირებს და უმთავრესად თვით გლეხებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მიწის მიღებაში, რომ ყველა ჩამორთმეულ და სახელმწიფო ფონდში ჩარიცხულ მიწების მემამულეთა მიერ გაყიდვის დროს მაცნობონ მე.

ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ყველა ასეთი გაყიდვის მონაწილეთ, როგორც მყიდველთ, აგრეთვე გამყიდველთ, გადავცემ სასამართლოს სასჯელისათვის ზემო აღნიშნული კანონის ძალით და ამას გარდა მყიდველთ დაუყონებლივ ჩამოერთმევა ამნაირი წესით ნაყიდი.

დედანზე ხელი უწერია: სამიწათმოქმედო მინისტრი ნ. ხომერიკი, სამიწათ-მოქმედო სამინისტროს კანცელარიის გამგე გ. ბერიძე.

ჩვენს კორესპონდენტებს

რედაქცია სთხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის მეურნეობის კრიზისს და აგრარულ რეფორმის განხორციელებას.

რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპელი.

საქართველოს მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა კავშირის საგჯო

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიათინსკის დალმართი № 5. სამეურნეო საზოგადოების შენობაში. მუდამ დღე 11—1 საათამდე, კვირა უქმის გარდა.

ბიბლიოთეკა "ეროვნული ბიბლიოთეკა"

გიორგი მამრაძე.

საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება.

I.

„ქართლის ბედის“ უკუღმართობა და საქართველოს ტრაგიზმი.

შინაარსი: „ქართული რასის“ პრობლემა.—ქართველთა ეროვნულ სულის უაღრესი გამომჟღავნება: (თამარ შოთას ხანა).—ბიზანტიის დამხობა სელჯუკების შემოსევით და საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დაქუცმაცება.—გიორგი სააკაძე და მეფე ერეკლე, როგორც „ქართლის ბედის“ უკუღმართობის მსხვერპლნი.—1783 წლის ტრაქტატის ისტორიული აუცილებლობა.—საქართველოს დამონება, როგორც შედეგი რუსეთისა და საქართველოს დიამეტრალური წინააღმდეგობისა.—ამ უაღრესს წინააღმდეგობაზე აღმოცენდა: „მთიულეთისა“ და „კახეთის“ ამბოხებანი; ძველ ფეოდალურ საქართველოს პოლიტიკური რომანტიზმი: (1832 წ. შეთქმულობა); ქართული ბაირონიზმი—ნ. ბარათაშვილის ქნარი; ახლად შობილ საქართველოს ეროვნული რომანტიზმი: (დიდბუნოვანი ილია და უმწიკვლო რაინდი არჩილ ჯორჯაძე).—ქართულ ლირიკის რომანტიზმი და გრიშაშვილის გამონაკლისობა.—კაპიტალიზმის შემოსვლა საქართველოში და სოციოლოგიურ-კლასობრივ სარწმუნოების გადმონერგვა: (მესამე დასელების ე. ი. ქართველ სოციალ-დემოკრატების ისტორიული დანიშნულება).—რუსეთის ტრაგიზმის დიამეტრალური უკუღმართობა—1905 წ. რევოლიუცია.—რუსეთის კონსტიტუცია და მონასტრის აღრევა: ა) რუსულ ლიბერალობის იმპერიალიზმის დასაწყისი, ბ) „ალიონელების“ და ჟურნალ „კლდის“ ჯგუფის ჩასახვა.—გახლართულ კვანძთა გაჭარწყლება: რუსეთის ეროვნული შობა და საქართველოს ეროვნული გამთელება.—19 ნოემბრის თარიღი: (საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა და მისი ღირსეული ბელადი ნოე ჟორდანია). მომავლის პერსპექტივები.

ეჭიმი
დ. ჯავახიშვილი
ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41.
ტელეფ. № 14—09.

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ.

ტფილისი, „ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობა“, გოლოვინის პრ., № 26.